

იგანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

მარკეტინგის კათედრა

თ ე თ ნ ა დ ო ჭ ვ ი რ ი

საქართველოს სამომხმარებლო პაზარზე მარკეტინგის გამოყენების
ეფექტიანობის შეფასება

დ ი ს ე რ ტ ა ც ი ა

ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორის აკადემიური ხარისხის
მოსაპოვებლად

სამეცნიერო ხელმძღვანელი:

ნუგზარ თოდუა,

ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი,

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

პროფესორი



უნივერსიტეტის
გამომცემლობა

თბილისი

2015

შ 0 6 ა ა რ ს 0

შესავალი	6
თავი 1. საქართველოს სამომხმარებლო ბაზარზე მარკეტინგის გამოყენების თეორიული ასპექტები	
1.1. მარკეტინგული კვლევის მეთოდოლოგიური საკითხები	15
1.2. მარკეტინგულ კვლევაში თვისებრივი სტატისტიკური მონაცემების სისტემური განაწილების შეფასება.....	35
1.3. მარკეტინგულ კვლევაში რაოდენობრივი სტატისტიკური მონაცემების სისტემური განაწილების შეფასება.....	39
1.4. მარკეტინგული კვლევაში შერჩევითი რიცხვითი მახასიათებლების გამოყენება.....	44
1.5. მარკეტინგული კვლევის მეთოდიკა	55
თავი 2. საქართველოს სამომხმარებლო ბაზარზე მარკეტინგის გამოყენების ეფექტიანობის სტატისტიკური შეფასება	
2.1. მარკეტინგული კვლევა საქართველოში მინიმალური სასურსათოკალათისკომპონენტების შეფასებაში.....	62
2.1.1. მინიმალური სასურსათო კალათის კომპონენტების რიცხვითი მახასიათებლები.....	62
2.1.2. მინიმალური სასურსათო კალათის მიმდინარე ფასი.....	65
2.2. მარკეტინგული კვლევა საქართველოში მინიმალური სასურსათო კალათისნორმებისა და ღირებულების შეფასებაში.....	67
2.2.1. ნორმების მარკეტინგული კვლევა და შეფასება მომხმარებელთა ქცევის გათვალისწინებით.....	67
2.2.2. კომპონენტების მარკეტინგული კვლევა და შეფასება მომხმარებელთა ქცევის გათვალისწინებით.....	69

2.3. საქართველოში მინიმალური სასურსათო კალათის მომხმარებელთა ქცევის მარკეტინგული კვლევა	72
2.3.1. მარკეტინგული კვლევა პროდუქტების ფასებისა და მინიმალური სასურსათო კალათის ღირებულების სტატისტიკურ შეფასებაში ...	72
2.3.2. მინიმალური სასურსათო კალათის პროდუქტების ფასებისა და დღიური ნორმების შესახებ მომხმარებელთა ქცევის მარკეტინგული კვლევა.....	74
2.3.3. მინიმალური სასურსათო კალათის პარამეტრების მიმდინარე და მარკეტინგული კვლევის შედეგად მიღებულ მნიშვნელობებს შორის განსხვავების სტატისტიკური შეფასება.....	75
2.3.4. საქართველოში მინიმალური სასურსათო კალათის პროდუქტების დღიური ნორმებისა და ფასების შესახებ მომხმარებელთა ქცევის მარკეტინგული კვლევაში სიხშირეთა ემპირიული განაწილების გამოყენება.....	79
2.4. საქართველოს ბაზარზე მომხმარებელთა ქცევის მარკეტინგული კვლევა და სტატისტიკური შეფასებები.....	84
2.4.1. პოპულაციის უცნობი საშუალოს ინტერვალური შეფასება	84
2.4.2. პოპულაციის უცნობი საშუალოს შესახებ სტატისტიკურ ჰიპოთეზათა შემოწმება	84
2.4.3. ერთპრედიქტორიანი და ორპრედიქტორიანი წრფივირეგრესიული მოდელები	86
2.4.4. საქართველოში მინიმალური სასურსათო კალათის პროდუქტების დღიური ნორმების უცნობი საშუალოს ინტერვალური შეფასება	87
2.4.5. საქართველოში მინიმალური სასურსათო კალათის პროდუქტების დღიური ნორმების უცნობი საშუალოს შესახებ სტატისტიკური ჰიპოთეზების შემოწმება	96

2.4.6. საქართველოში მინიმალური სასურსათო კალათის პროდუქტების ფასების უცნობი საშუალოს ინტერვალური შეფასებები	101
2.4.7. საქართველოში მინიმალური სასურსათო კალათის პროდუქტების ფასების უცნობი საშუალოს შესახებ სტატისტიკური ჰიპოთეზების შემოწმება	110
2.5. რეგრესიული ანალიზი საქართველოს სამომხმარებლო ბაზრის მარკეტინგულკვლევაში.....	115
2.5.1. ინფლაციის შესახებ.....	115
2.5.2. სამომხმარებლო ფასების ინდექსის ავტორეგრესიული მოდელი ...	120
2.5.3. რიცხვითი მაგალითები (ა).....	125
2.5.4. სამომხმარებლო ფასების ინდექსის ავტორეგრესიული მოდელი მცოცავი საშუალოთი.....	127
2.6. წყვილობრივ და მრავლობით წრფივ რეგრესიულ მოდელებსშორის კაგშირი.....	129
2.6.1. ერთპრედიქტორიანი წრფივი რეგრესიული მოდელებით მრავლობითი წრფივი რეგრესიული მოდელის აგება.....	129
2.6.2. მრავლობითი წრფივი რეგრესიული მოდელით ერთპრედიქტორიანი წრფივი რეგრესიული მოდელების აგება	132
2.6.3. რიცხვითი მაგალითები (ბ)	133
თავი 3ANOVA საქართველოს სამომხმარებლო ბაზრის ზოგიერთი სფეროს მომხმარებელთა ქცევის მარკეტინგულ კვლევაში	
3.1. საქართველოში საბანკო სფეროს მომხმარებელთა ქცევის მარკეტინგული კვლევა	141
3.1.1. საბანკო სფეროს მომხმარებელების სიხშირეთა განაწილების ემპირიულიწესი	141
3.1.2. საბანკო სფეროს მომხმარებელთა რაოდენობის უცნობი საშუალოს ინტერვალური შეფასებები	145

3.1.3. საბანკო სფეროს მომხმარებელთა რაოდენობის უცნობი საშუალოს შესახებ სტატისტიკური ჰიპოთეზების შემოწმება	147
3.1.4. ევროპული ოფციონის ფასდადების ამოცანა.....	148
3.2. საქართველოშიუალკოპლო გაზიანი სასმელების მომხმარებელთა ქცევის მარკეტინგული პლევა	150
3.2.1. უალკოპლო გაზიანი სასმელების ცნობადობა და მოხმარება	150
3.2.2. უალკოპლო გაზიანი სასმელების მომხმარებელთა დისპოზიციის ფილტრის („ძაბრის“) განსაზღვრა	152
3.2.3. უალკოპლო გაზიანი სასმელების იმიჯის შეფასება	156
3.2.4. უალკოპლო გაზიანი სასმელების მომხმარებლების სიხშირეთა განაწილებისემპირიულიწესი.....	158
3.2.5. უალკოპლო გაზიანი სასმელებისმომხმარებელთა რაოდენობის უცნობი საშუალოს ი,ნტერვალური შეფასებები.....	163
3.2.6. უალკოპლო გაზიანი სასმელების მომხმარებელთა რაოდენობის უცნობი საშუალოს შესახებ სტატისტიკური ჰიპოთეზების შემოწმება	165
3.3. ANOVAმომხმარებელთა ქცევის მარკეტინგულ პლევაში.....	167
3.3.1. ANOVAსაბანკო ოპერაციებისა და ვალუტების მიმართ მომხმარებელთა ქცევის მარკეტინგულ პლევაში.....	167
3.3.2. ANOVAფასიანი ქადალდების მიმართ მომხმარებელთა ქცევის მარკეტინგულ პლევაში.....	172
3.3.3. ANOVAუალკოპლო გაზიანი სასმელების მიმართ მომხმარებელთა ქცევის მარკეტინგულ პლევაში.....	175
3.3.4. ANOVAგაფართოებული მინიმალური სასურსაოო კალათის მიმართმომხმარებელთა ქცევის მარკეტინგულ პლევაში.....	178
დასკვნები და წინადადებები	182
გამოყენებულილიტერატურა	189
დანართები.....	199

შესავალი

პრობლემის აქტუალურობა. მარკეტინგულ კვლევას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს თანამედროვე საბაზო ეკონომიკის ანალიზში. მარკეტინგულ ინფორმაციას და დასკვნებს იყენებენ ფირმები, კომპანიები, ფინანსური, სადაზღვევო, საბანკო და სხვა ინსტიტუტები თავიანთი საქმიანობის დაგეგმვაში, მართვაში, კონტროლსა და პროგნოზირებაში. საქართველო XX საუკუნის ბოლოს დაადგა საბაზო ეკონომიკის განვითარების გზას. ამ გარემოებამ კიდევ უფრო მნიშვნელოვანი გახდა მარკეტინგის გამოყენება ეკონომიკის ყველა სფეროში. ამრიგად, საქართველოს ეკონომიკაში, ზოგადად, და, კერძოდ, საქართველოს ბაზრის ნებისმიერ სფეროში მარკეტინგული კვლევა აქტუალურია.

მომსახურების სფეროს მარკეტინგული კვლევის ერთ-ერთიპრობლემააიმ ფაქტორების დადგენა და შესწავლა, რომლებიც გავლენას ახდენენმომსახურების შექმნის მოტივებთან დაკავშირებით მომსმარებელთა გადაწყვეტილებაზე. მომსმარებელთა ქცევაზე, მომსახურების სფეროს განვითარებაზე და მოსახლეობის სოციალური პრობლემების გადაჭრაზე უდიდეს გავლენას ახდენს სამომსმარებლო ფასები და სამომსმარებლო ბაზრის სტაბილურობა. მეორე მხრივ, სამომსმარებლო ფასების ინდექსი, რომელიც სამომსმარებლო კალათის ფასზეა დამოკიდებული, პერიოდულად იცვლება მომსმარებელთაგემოვნების, ცხოვრების სტილისა და უამრავი სხვა ფაქტორის გათვალისწინებით. ზოგადად, ეკონომიკური მაჩვენებლები, მაგალითად, ინფლაცია, გადასახადები, უმუშევრობა, შემოსავლები, ექსპორტი, იმპორტი, მთლიანი შიდა პროდუქტი და სხვა, გარკვეულ გავლენას ახდენენ ერთმანეთზე და ურთიერთკავშირშია მომსმარებელთა ქცევასთან, მომსახურების სფეროსთან და სხვა. ამ საკითხების შესწავლა კი მეტად რთული ეკონომიკური ანალიზის ჩატარებას მოითხოვს.

ამრიგად, მომსმარებელთა ქცევის გათვალისწინებით სამომსმარებლო კალათის შემადგენლობის, ფასებისა და ნორმების ცვლილებასთან დაკავშირებული მარკეტინგული კვლევა ქვეყნის ეკონომიკის წარმატებული ფუნქციონირების თვალსაზრისით აქტუალურია. შევნიშნავთ, რომ სასურსათო პრობლემა და სურსათის ფასები ქვეყნის მნიშვნელოვანი ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური საკითხების რიცხვს მიეკუთვნება. ადსანიშნავია აგრეთვე, რომ არანაკლებ საგულისხმოა მარკეტინგული კვლევა საბაზო ეკონომიკის ყოველ კონკრეტულ სფეროში.

იმისათვის, რომ წარმატებით განვახორციელოთ მარკეტინგული კვლევა, აუცილებელია სტატისტიკური მეთოდების (როგორც აღწერთი (დესკრიფტიული) სტატისტიკის, ასევე სტატისტიკური დასკვნების თეორიის) გამოყენება. კერძოდ, საჭიროა გაგვაჩნდეს ეკონომიკური პროცესების აღმწერი ადეკვატური მათემატიკური მოდელები, განსაკუთრებით რეგრესიული ანალიზის მოდელები. ამ მოდელების საშუალებით ხდება ძირითადი ენდოგენური და ეგზოგენური ეკონომიკური მახასიათებლების დროში მართვა და პროგნოზირება. ცხადია, ყოველი ახალი რეგრესიული და სხვა სახის მათემატიკური მოდელების აგება და გამოყენება საბაზო ეკონომიკის ანალიზის და, კერძოდ, მარკეტინგული კვლევის ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა.

ამრიგად, საქართველოს სამომხმარებლო ბაზარზე მარკეტინგის გამოყენების ეფექტიანობის შეფასების პრობლემა და ამ პრობლემის კვლევაში სტატისტიკური მეთოდების გამოყენება აქტუალურია.

პრობლემის შესწავლის მდგომარეობა . საბაზო ეკონომიკაში მარკეტინგის გამოყენების პრობლემის კვლევა უცხოეთში დიდი ხანია დაწყებულია და დღესაც ინტენსიურად მიმდინარეობს. ამ თვალსაზრისით აღსანიშნავია დ. ააკერის, დ. ენჯელსის, კ. კელერის, ფ. კოტლერის, ნ. მალჰოტრას,, გ. ქაინაკის, გ. ჩერჩილის, უან-უაკ ლამბენის და სხვათა შრომები.

საქართველოშიმომხმარებელთა ქცევისმარკეტინგული კვლევა ახალი დაწყებულია და ჯერ კიდევ ნაკლებად არის შესწავლილი ამ კვლევასთან დაკავშირებული პრობლემატიკა. ამასთან, ქართველი მარკეტოლოგები თავიანთ კვლევაში და პრაქტიკულ საქმიანობაში ძირითადად იყენებენ მხოლოდ აღწერითი სტატისტიკის მეთოდებს. ეს მაშინ, როდესაც საყოველთაოდ ცნობილია, რომ ნებისმიერი სახის კვლევაში და განსაკუთრებით პრაქტიკაში, სადაც გარკვეული სტატისტიკური მონაცემების დამუშავებაა საჭირო, აღწერით სტატისტიკასთან ერთად აუცილებელია სტატისტიკური დასკვნების თეორიის მეთოდების – წერტილოვანი და ინტერვალური შეფასებების, ჰიპოთეზათა შემოწმების და განსაკუთრებით რეგრესიული ანალიზის გამოყენება. ამ მეთოდების გამოყენების გარეშე მუდმივად უამრავი ფაქტორის გავლენით ეკონომიკურ ანალიზში სერიოზული დასკვნების გაკეთება და სათანადო გადაწყვეტილებების მიღება, უბრალოდ, რთული და წარმოუდგენელია. თუმცა, გვინდა შევნიშნოთ, რომ საქართველოს ბაზრის ზოგიერთ სფეროში ქართველი მომხმარებლების დამოკიდებულება საქონლისა და

მომსახურებისადმი, აგრეთვე, ყიდვის შესახებ გადაწყვეტილების მიღების მოტივაციები საკმაოდ კარგად არის შესწავლილი. ამ მიმართულებით აღსანიშნავია 6. ოოდუას, ჩ. ჯაშის, ა. აპილის, დ. ლომინაძის, ე. უროტაძის, თ. ვალიშვილის, ნ. ქარქაშაძის, თ. კუპრაშვილის, მ. ახვლედიანის, ი. გიგაურის და სხვათა ნაშრომები. ამასთანერთად, დისერტაციაში გამოყენებულია საქსტატის მონაცემები. ამასთან, უნდა შევნიშნოთ, რომ საქართველოს სამომხმარებლო ბაზარზე მომხმარებელთა ქცევასთან დაკავშირებით მარკეტინგის ეფექტიანობის შეფასების საკითხები ნაკლებადაა შესწავლილი, რაც კვლავაც სათანადო მეცნიერულ დამუშავებას საჭიროებს.

კვლევის მიზანი და ამოცანები. სადისერტაციო ნაშრომის კვლევის მიზანია საქართველოს სამომხმარებლო ბაზრის ზოგიერთ სფეროში მარკეტინგის გამოყენების ეფექტიანობის ახალი სტატისტიკური შეფასებების მიღება. აქედან გამომდინარე, სადისერტაციო ნაშრომში დასმული და შესწავლილია შემდეგი ამოცანები:

- მინიმალური სასურსათო კალათის ღირებულების მარკეტინგული კვლევა და შეფასება მიმდინარე ფასების, აგრეთვე, პროდუქტების დღიური ნორმების, პროდუქტის ფასების შესახებ მომხმარებელთა ქცევის გათვალისწინებით.
- მინიმალური სასურსათო კალათის კომპონენტების (ცილების, ცხიმების, ნახშირწყლებისა და ენერგეტიკული ღირებულებების) მარკეტინგული კვლევა და შეფასება მომხმარებელთა ქცევის გათვალისწინებით.
- მინიმალური სასურსათო კალათის პარამეტრების მიმდინარე და მომხმარებელთა ქცევის გათვალისწინებით მარკეტინგული კვლევის შედეგად მიღებულ მნიშვნელობებს შორის განსხვავების სტატისტიკური შეფასება.
- მინიმალური სასურსათო კალათის პროდუქტების დღიური ნორმებისა და ფასების მარკეტინგულ კვლევაში მონაცემების დღიურ სიხშირეთა ემპირიული წესის გამოყენება, აგრეთვე, ფასების უცნობი საშუალოს ინტერვალური შეფასებები და ფასების უცნობი საშუალოების შესახებ სტატისტიკური ჰიპოთეზების შემოწმება.
- სამომხმარებლო ფასების ინდექსის ახალი ავტორეგრესიული მოდელის აგება.
- სამომხმარებლო ფასების ინდექსის ახალი მცოცავი საშუალოთი ავტორეგრესიული მოდელის აგება.

- აგებული მოდელების გამოყენება საქართველოში ინფლაციური პროცესების შესწავლაში.
- ერთპრედიქტორიანი წრფივი რეგრესიული მოდელებით მრავლობითი წრფივი რეგრესიული მოდელის აგება.
- მრავლობითი წრფივი რეგრესიული მოდელით ერთპრედიქტორიანი წრფივი რეგრესიული მოდელების აგება.
- საბანკო სფეროს მომხმარებლების სიხშირეთა განაწილების ემპირიული წესის აგება.
- საბანკო სფეროს მომხმარებელთა რაოდენობის უცნობი საშუალოს ინტერვალური შეფასებები საბანკო ოპერაციებისა და ვალუტების მიხედვით.
- საბანკო სფეროს მომხმარებელთა რაოდენობის უცნობი საშუალოს შესახებ სტატისტიკური ჰიპოთეზების შემოწმება საბანკო ოპერაციებისა და ვალუტების მიხედვით.
- ევროპული ოფციონის ფასის დადგენა.
- უალკოჰოლო გაზიანი სასმელების მომხმარებლების სიხშირეთა განაწილების წესის აგება.
- უალკოჰოლო გაზიანი სასმელების მომხმარებელთა რაოდენობის უცნობი საშუალოს ინტერვალური შეფასებები სასმელებისა და მათი მახასიათებლების მიხედვით.
- უალკოჰოლო გაზიანი სასმელების მომხმარებელთა რაოდენობის უცნობი საშუალოს შესახებ სტატისტიკური ჰიპოთეზების შემოწმება.
- ANOVA გაფართოებული მინიმალური სასურსათო კალათის, საბანკო ოპერაციებისა და ვალუტების, ფასიანი ქაღალდებისადა უალკოჰოლო გაზიანი სასმელების მომხმარებელთა მარკეტინგულ კვლევაში.

კვლევის საგანი და ობიექტი. დისერტაციის კლევის საგანს წარმოადგენს მარკეტინგის უმნიშვნელოვანების პრობლემის, კერძოდ, მარკეტინგის გამოყენების ეფექტიანობის შეფასება, ხოლო დისერტაციის კვლევის ობიექტია მომხმარებელთა ქცევის გათვალისწინებით მინიმალური სასურსათო კალათის მარკეტინგული კვლევა, მისი კომპონენტების შეფასება, სამომხმარებლო ფასების ინდექსის (ინფლაციის) აღმწერი ახალი რეგრესიული მოდელის აგება, წრფივ წყვილობრივ და მრავლობით რეგრესიულ მოდელებს შორის კავშირის დამყარება,

სამომხმარებლო ბაზრის საბანკო სფეროსა და უაღკოშოლო გაზიანი სასმელების მიმართ მომხმარებელთა ქცევის ანალიზი.

დისერტაციის კვლევის თეორიულ - მეთოდოლოგიური საფუძვლები. კვლევის თეორიული საფუძველია ქართველ და უცხოელ მეცნიერთა მარკეტინგული კვლევის შედეგები, ხოლო მეთოდოლოგიური საფუძვლებია ეკონომიკური, მარკეტინგული კვლევის, აღწერითი სტატისტიკისა და სტატისტიკური დასკვნების თეორიის მეთოდები.

სადისერტაციო ნაშრომის მეცნიერული სიახლეები. ნაშრომი წარმოადგენს საქართველოს სამომხმარებლო ბაზარზე მარკეტინგის გამოყენების უფლებისა და მარკეტინგულ გამოკვლევას. იგი სიახლეა თეორიული და პრაქტიკული გამოყენების თვალსაზრისით. ნაშრომის ძირითადი მეცნიერული სიახლეები არის შემდეგი:

- მომხმარებელთა ქცევის მარკეტინგული კვლევის შედეგად შეფასებულია მინიმალური სასურსათო კალათის ღირებულება (დადგენილი კომპონენტებისა და მიმდინარე ფასების გათვალისწინებით), გამოთვლილია დღიური ნორმების მიმართ მინიმალური სასურსათო კალათისკომპონენტების მნიშვნელობები, აგრეთვე, მინიმალური სასურსათო კალათისპროდუქტების მიმდინარე ნორმებისა და ფასების განსხვავება მიღებული ნორმებისა და ფასებისგან, დადგენილია მიღებული ნორმებისა და ფასების სისწირეთა განაწილების ემპირიული ინტერვალები, ხოლო მონაცემებისთვის აგებულია პროდუქტების დღიური ნორმებისა და ფასების უცნობი საშუალოს ნდობის ინტერვალები.
- ასევე, შემოწმებულია 0.05 და 0.01 მნიშვნელოვნების დონის ჰიპოთეზები ნორმებისა და ფასების უცნობი საშუალოს შესახებ.
- აგებულიასამომხმარებლო ფასების ინდექსის – ინფლაციური პროცესის ახალი ავტორეგულირებისიული მოდელი და რეგრესიული მოდელი მცოცავი საშუალოთი. ეს მოდელები პარამეტრების სახით შეიცავს ფულის მასას და მართვის კომპონენტას, რომელთა რეგულირება სამთავრობო სტრუქტურებისა და ეროვნული ბანკის გადაწყვეტილებებზეა დამოკიდებული.
- ჩვენ მიერ აგებულ სამომხმარებლო ფასებისა და ინფლაციური პროცესის აღმწერ მეორე რიგის ავტორეგრესიულ მოდელს აქვს შემდეგი სახე:

$$p(k) = a_0 + a_1 p(k-1) + a_2 p(k-2) + \gamma_1 m(k-1) + \beta_1 \varepsilon(k),$$

სადაც $p(k)$ არის სამომხმარებლო ფასების ინდექსის მნიშვნელობა დროის k მომენტში, $m(k) = \bar{m} + u(k)$ არის გულის მასის მოცულობა k მომენტში, \bar{m} არის ფულის მასის საშუალო მნიშვნელობა, ხოლო $u(k)$ არის ფულის მასის ნაზრდი, რომელიც გამოიყენება, როგორც მართვის მექანიზმი, $\varepsilon(k)$ არის შემთხვევითი კომპონენტი (შეშფოთება), რომლის საშუალო ნულის ტოლია. შეშფოთება შეიძლება გამოიწვიოს გაუთვალისწინებელმა ფაქტორებმა, ფასებზე ზემოქმედების წყაროებმა, იმპორტის, ექსპორტის არარეგულარულმა ნაკადებმა, კაპიტალის გადინებამ, კანონების არასტაბილურობამ და სხვა. რაც შეეხება a_0 , a_1 , a_2 , γ_1 , β_1 კოეფიციენტებს, მათი მნიშვნელობების შეფასება ხდება უმცირეს კვადრატთა მეთოდით $p(k)$ სამომხმარებლო ფასების ინდექსზე სტატისტიკური მონაცემების საფუძველზე.

- ახალი ავტორეგრესიული მოდელის გამოყენებით, ფულის მასისადა მართვის კომპონენტების გათვალისწინების გარეშე, საქართველოში 2002-2013 წლების საშუალო წლიური ინფლაციის მნიშვნელობებით გამოთვლილია 2014 წლის საშუალო წლიური ინფლაციის საპროგნოზო მნიშვნელობა.
- წყვილობრივი წრფივი რეგრესიული მოდელებით აგებულია მრავლობითი წრფივი რეგრესიული მოდელი და აგრეთვე მრავლობითი წრფივი რეგრესიული მოდელით აგებულია წყვილობრივი წრფივი რეგრესიული მოდელები. ამ კაგშირების დადგენა თეორიული ინტერესის გარდა მნიშვნელოვანია აგრეთვე ძვირადღირებული და ტექნიკურად რთული ცდების ჩატარების დროს, მათ შორის მარკეტინგულ კალებაში.

ჩვენ მიერ აგებული რეგრესიული მოდელები შემდეგია.

განვიხილოთ რამე Y ცვლადი, რომელიც დამოკიდებულია k პრედიქტორზე x_1, \dots, x_k და ვიგულისხმოთ, რომ გვაქვს n მოცულობის $(x_{1i}, Y_{1i}), \dots, (x_{ki}, Y_{ki})$, $i=1, \dots, n$, შერჩევა. ამ მონაცემებით ვაგებთ k რაოდენობის წყვილობრივ რეგრესიულ მოდელს და ამ მოდელების კოეფიციენტებისა და ცვლადების საშუალებით აგებულია მრავლობითი რეგრესიული მოდელი

$$\hat{Y} = b_0 + b_1 \bar{x}_1 + \dots + b_k \bar{x}_k,$$

სადაც b_i , $i = 0, 1, \dots, k$, კოეფიციენტები და \bar{x}_j , $j = 1, \dots, k$, ახალი ცვლადები ცალსახად განისაზღვრება წყვილობრივი რეგრესიების პარამეტრებით. თუ გვაქვს მრავლობითი მოდელი

$$Y = a_0 + a_1 x_1 + \dots + a_k x_k,$$

მაშინ ამ მოდელის პარამეტრების გამოყენებით ჩვენს მიერ აგებულია ახალი წყვილობრივი k რაოდენობის წრფივი მოდელი

$$Y^{(1)} = a_0^{(1)} + a_1^{(1)} x_1, \dots, Y^{(k)} = a_0^{(k)} + a_1^{(k)} x_k.$$

- საბანკო სფეროს და უალკოჰოლო გაზიანი სასმელების მომხმარებელთა რაოდენობისათვის დადგენილია სიხშირეთა განაწილების ემპირიული ინტერვალები და აგებულია უცნობი საშუალოს ნდობის ინტერვალები, ხოლო უცნობი საშუალოების მიმართ შემოწმებულია სტატისტიკური ჰიპოთეზები 0.05 და 0.01 მნიშვნელოვნების დონით.
- ჩატარებულია ANOVA საბანკო ოპერაციებისა და ვალუტების მიმართ მომხმარებელთა ქცევის მარკეტინგულ კვლევაში. დადგენილია, რომ საბანკო მომსახურების საერთო რაოდენობების ანუ პოპულაციების უცნობი საშუალო მნიშვნელობები (პროცენტი) 95% -იანი გარანტით ერთმანეთისგან არ განსხვავდება.
- დადგენილია პოპულარული ფასიანი ქაღალდის – ევროპული ოფციონის ფასი არათვითდაფინანსებადი პორტფელისთვის უმარტივესი ორაქტივიანი ფინანსური ბაზრის შემთხვევაში.
- ჩატარებულია ANOVA ფასიანი ქაღალდების ცნობადობის მიმართ მომხმარებელთა ქცევის მარკეტინგულ კვლევაში.
- ჩატარებულია ANOVA უალკოჰოლო გაზიანი სასმელების მიმართ მომხმარებელთა ქცევის მარკეტინგულ კვლევაში. რომ უალკოჰოლო გაზიანი სასმელების მომხმარებელთა პოპულაციების უცნობის საშუალო მნიშვნელობები სასმელების მახასიათებლების მიხედვით ერთმანეთისგან განსხვავდება 95% -იანი გარანტით.
- ჩატარებულია ANOVA – დისპერსიული ანალიზი, გაფართოებული მინიმალური სასურსათოი კალათის მიმართ მომხმარებელთა ქცევის მარკეტინგულ კვლევაში. დადგენილია, რომ მომხმარებელთა რეიტინგული ქულების საშუა-

ლოები მოცემული პროდუქტებისთვის ერთმანეთისგან არ განსხვავდება 95%-იანი გარანტით.

ნაშრომის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა . სადისერტაციო ნაშრომში მიღებული თეორიული შედეგები:

სამომხმარებლო ფასების ინდექსის – ინფლაციური პროცესის ავტორეგრესიულ მოდელებსა და რეგრესიულ მოდელებს შორის კავშირები შეიძლება გამოიყენონ დაინტერესებულმა მეცნიერებმა ამ მიმართულებით შემდგომ კვლევაში. სადისერტაციო ნაშრომის შედეგები შეიძლება გამოიყენონ სამთავრობო სტრუქტურებმა, აგრეთვე, ბანკებმა ფულადი ნაკადების მართვაში, საბანკო ოპერაციების სხვადასხვა გალუტაში მომხმარებელთა რაოდენობის შეფასებაში და პროდუქტების მწარმოებლებმა თავიანთი საქმიანობის დაგეგმვასა და მართვაში. მარკეტინგული ინფორმაციის მოპოვება გარკვეულ დანახარჯებთან არის დაკავშირებული. ჩვენ მიერ წყვილობრივ და მრავლობით წრფივ რეგრესიულ მოდელებს შორის დამყარებული კავშირები ფირმებს, კომპანიებსა და ბიზნესმენებს საშუალებას აძლევს თავიანთი საქმიანობის ანალიზში გასაწევ დანახარჯებთან დაკავშირებით გააკეთონ დანაზოგები და მიიღონ გარკვეული მოგება. თუ ფირმას აინტერესებს რა გავლენას ახდენს ერთდროულად ცალკე ინფლაცია და ცალკე რეკლამაზე დახარჯული თანხა ფირმის შემოსავალზე, მაშინ დამატებითი მარკეტინგული ინფორმაციის მოპოვების გარეშე და დამატებითი დანახარჯების გარეშე შეიძლება ამ გავლენის აღმწერი მრავლობითი რეგრესიული მოდელის აგება, რაც ფირმას აძლევს დასახარჯი თანხის დაზოგვის საშუალებას. პირიქითაც, თუ ფირმას გააჩნია ინფლაციით და რეკლამაზე დახარჯული თანხით ერთდროული ინფორმაციით აგებული შემოსავლების აღმწერი რეგრესიული მოდელი, მაშინ ასევე დამატებითი მარკეტინგული ინფორმაციის მოპოვების გარეშე შეიძლება ცალკე ინფლაციის და ცალკე რეკლამაზე დახარჯული თანხების შემოსავალზე გავლენის აღმწერი რეგრესიული მოდელების აგება. ცხადია, დანაზოგის და მოგების მნიშვნელობა დამოკიდებულია მარკეტინგული ინფორმაციის რაოდენობაზე, სირთულეზე და უმრავ სხვა ფაქტორზე, რომელთა გათვალისწინება შეიძლება ჩვენ მიერ აგებულ რეგრესიულ მოდელებში.

კვლევის შედეგების პუბლიკაცია . სადისერტაციო პრობლემასთან დაკავშირებული თეორიული და პრაქტიკული ხასიათის საკითხების ანალიზი ასაულია უცხოურ და სამამულო პრესტიჟულ სამეცნიერო ურნალებში. დისერტაცი-

ისძირითადი შედეგები გამოქვეყნებულია 8 სამეცნიერო ნაშრომში, მათ შორის ისეთ მაღალრეიტინგულ ჟურნალებში, როგორიცაა “British Journal of Marketing Studies”, “Annals of the “Constantin Prăncist” University of Targu, Economy Series” და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე.


სადისერტაციო ნაშრომის მოცულობა 198 გვერდია. ნაშრომიშედგება შესავალის, სამი თავის, თოთხმეტი ქვეთავის, ორმოცდაათი პუნქტის, დასკვნების, წინადაღებების, გამოყენებული ლიტერატურისა და დანართისგან. მასში მოტანილია ოცდაშვიდი ნახატი და ოცდაჩვიდმეტი ცხრილი.

თ ა გ 0 1

საქართველოს სამომხმარებლო ბაზარზე მარკეტინგის გამოყენების თეორიული ასპექტები

1.1. მარკეტინგული კვლევის მეთოდოლოგიური საკითხები

მარკეტინგული კვლევა – ესარის ინფორმაციის სისტემატიური და ობიექტური გამოვლენა, შეკრება, ანალიზი, გავრცელება და გამოყენება იდენტიფიკაციის ეფექტურიანობის გაზრდის, მარკეტინგული პრობლემების გადაწყვეტისა და მარკეტინგული შესაძლებლობების გამოყენებისთვის [Thomas T. Semon, Marketing Research Needs Basic Research. *Marketing News*, March 14, 1994, p. 12]. შევნიშნავთ, რომ მარკეტინგული პრობლემა, მაგალითად, გარკვეული ინფორმაციის მოპოვება, შემდეგ ტრანსფორმირდება (გარდაიქმნება) მარკეტინგული კვლევის პრობლემაში. ამიტომ ტერმინებს „მარკეტინგული პრობლემა“ და „მარკეტინგული კვლევის პრობლემა“ სხვადასხვა შინაარსი აქვს. მარკეტინგული კვლევის ორი ძირითადი ბლოკი შეიძლება შემდეგნაირად გამოვსახოთ (იხ. ნახაზი 1.1) [Frank M. Bass, The Future of Research in Marketing: Marketing Science. *Journal of marketing Research*, February 1993, p. 6]



ნახაზი 1.1. მარკეტინგული კვლევის კლასიფიკაცია

მარკეტინგული კვლევის პროცესიების ძირითადი ეტაპისგან შედგება. ეს ეტაპი შეიძლება შემდეგნაირად აღვწეროთ.

ეტაპი 1.პრობლემის განსაზღვრა. მარკეტოლოგმა პირველ რიგში უნდა გაითვალისწინოს კვლევის მიზანი, შეარჩიოს შესაბამისი აუცილებელი პირველადი (საწყისი) ინფორმაცია და მიიღოს გადაწყვეტილება მისი გამოყენების შესახებ. პრობ-

ლემის განსაზღვრაში შედის აგრეთვე გადაწყვეტილების მიღების პირებთან (ტოპ-მენეჯერებთან) საუბრები და განსჯა, ინტერვიუები კონკრეტული სფეროს ექსპერტებთან, მეორადი ინფორმაციის (მონაცემების) ანალიზი და სხვა.

შევნიშნავთ, რომ პირველადია დაკვირვების, გამოკითხვის ან ექსპერიმენტით უშუალოდ მიღებული ინფორმაცია, ხოლო მეორადია ინფორმაცია, რომელიც უკვე არსებობს და მოპოვებულია სხვა მიზნებისთვის.

ეტაპი 2. პრობლემისგადაწყვეტისადმი მიღგომის შემუშავება.მარკეტოლოგმა უნდა ჩამოაყალიბოს საინტერესო თეორიული და ანალიზური საკითხები, პიპოთეზები და აგრეთვე განსაზღვროს ფაქტორები, რომელიც გავლენას ახდენს კვლევის გეგმაზე.

ეტაპი 3.კვლევის გეგმის შედგენა.მარკეტოლოგმა უნდა შეიმუშაოს კვლევის გეგმა, რომელიც წარმოადგენს კვლევის მიმდინარეობის საფუძველს. ამასთან, აუცილებელია განისაზღვროს, როგორ უნდა მივიღოთ მონაცემები რესპონდენტებისგან(მაგალითად, გამოკითხვის ჩატარება ან სხვა ექსპერიმენტი). საჭიროა აგრეთვე ანკეტების და დაკვირვებების გეგმის შედგენა. მარკეტინგული კვლევის გეგმის შემუშავება შემდეგი საკითხებისგან შედგება:

1. აუცილებელი ინფორმაციის განსაზღვრა.
2. მეორადი ინფორმაციის ანალიზი.
3. ხარისხობრივი (თვისებრივი) კვლევები.
4. რაოდენობრივი მონაცემების შეკრება (გამოკითხვა, დაკვირვება და ექსპერიმენტის ჩატარება).
5. გაზომვა და სკალირების მეთოდები.
6. ანკეტების შემუშავება.
7. შერჩევის მოცულობის განსაზღვრა და შერჩევითი დაკვირვების ჩატარება.
8. მონაცემების ანალიზის ჩატარება.

ეტაპი 4.საგელესამუშაოები ანუ მონაცემთა შეკრება.მონაცემთა შეკრებას ატარებს მარკეტოლოგისაველე პირობებში პირადი ინტერვიუების, გამოკითხვის, დაკვირვების და სხვა სახით. ეს ხდება, მაგალითად, ყიდვის ადგილებში, საცხოვრებელ სახლებში, ოფისებში და სხვადასხვა დაწესებულებაში. გამოიყენება უშუალო გამოკითხვა, ან გამოკითხვა ტელეფონით, ელექტრონული ფოსტით, ინტერნეტით და სხვა.

ეტაპი 5.მონაცემთამომზადება და **მათი ანალიზი.საჭიროა მოპოვებული მონაცემების რედაქტირება, კოდირება, გაშიფრვა.** მაგალითად, ყოველი ანკეტის ან დაკვირვების სხვა ფორმის რედაქტირების ან შემოწმების შემდეგ, თუ საჭიროა, ხდება გარკვეული კორექტირება. შემდეგ მიმდინარეობს ამ ინფორმაციის მაგნიტურ ლენტაზე ან დისკზე გადატანა შემდგომი გადაწყვეტილებებისა და მართვის მიზნით.

ეტაპი 6.ანგარიშის მომზადება და **მისი პრეზენტაცია.** წინა ხუთი ეტაპის გაფლის შემდეგ მარკეტოლოგი ადგენს ანგარიშს ჩატარებული სამუშაოს შესახებ კომპანიისთვის ან კერძო კლიენტისთვის, ძირითადად, წერილობითი სახით. პრეზენტაციაზე გამოყენებული უნდა იყოს მარკეტინგული კვლევის ამსახველი პირველადი და მეორადი მონაცემების (ინფორმაციის) შესაბამისი ცხრილები, დიაგრამები და სხვა.

აღსანიშნავია, რომ მარკეტინგული კვლევის პროცესის ჩამოთვლილი ექვსი ეტაპის შინაარსის თანახმად, მისი განხორციელება მოითხოვს სტატისტიკური მეთოდების გამოყენებას. შევნიშნავთ აგრეთვე, რომ თითქმის ყველა წამყვანი ფირმა, კომპანია, კორპორაცია და სხვა მარკეტინგული კვლევას ატარებს ჩამოთვლილი ეტაპების (ან მათი გარკვეული მოდიფიკაციის) მიხედვით. მაგალითად, სასტუმროების სექტორის წამყვანი კომპანია Marriott ეტაპობრივ მარკეტინგული კვლევას იყენებს ბაზრის შესაძლებლობების და მომხმარებელთა ქცევის უკეთ გაგებისთვის. იგი ფლობს 2100-მდე სასტუმროს ამერიკის ყველა შტატში და 59 ქვეყანაში. Marriott-ის სათანადო ჯგუფი იდებს გადაწყვეტილებას საკუთარი ძალებით ჩაატაროსმარკეტინგული კვლევა, თუ შეუკეთოს იგი სხვა მარკეტინგულ კომპანიას.


მარკეტინგული კვლევის პრაქტიკაში მონაწილეობს უამრავი ფაქტორი, რომელიც გავლენას ახდენს მარკეტინგული კვლევის პროცესზე, ამიტომ მნიშვნელოვანია მონაცემების დამუშავება და მათი გამოყენება მარკეტინგული კვლევის ამოცანების გადასაწყვეტად.

შევნიშნავთ, რომ ჩვენ მიერ ჩატარებულ საქართველოს სამომხმარებლო ბაზარზე მარკეტინგულ კვლევაში ვითვალისწინებთ კვლევის პროცესის ეტაპებს.

მარკეტინგული კვლევის პროცესში ყოველ ეტაპს დიდი მნიშვნელობა ენიჭება და გააჩნია საკუთარი დანიშულება. მოკლედ განვიხილოთ პირველ და მეორე ეტაპებთან დაკავშირებული საკითხები.

პრობლემის განსაზღვრა. მარკეტინგული კვლევის პრობლემის განსაზღვრა გულისხმობს კვლევის ზოგადი პრობლემების გამოვლენას და მისი შემადგენელი

კომპონენტების დადგენას. პრობლემის განსაზღვრასთან დაკავშირებული საკითხების ნაწილი შეიძლება შემდეგი სქემის სახით აღვწეროთ [Patrik Butler, Marketing Problem: From Analysis to Decision. *Marketing Intelligence & Planning*, 1994, p. 4]



ნახაზი 1.2. მარკეტინგული კვლევის ამოცანები


მარკეტინგული კვლევაში დიდი მნიშვნელობა აქვს კომპანიის ტოპ-მენეჯერებსა და მარკეტინგის მკვლევარს შორის ურთიერთობის ფორმასა და მახასიათებლებს. ამისათვის აუცილებელია:

- იდეების თავისუფალი გაცვლა და გამოყენება;
- კოოპერაცია და გარკვეული წესით თანამშრომლობა;
- კონფიდენციალობა და ურთიერთნდობა;
- პირდაპირობა და ურთიერთობის დროს სწორი მონაცემების ღია გაცვლა;
- ურთიერთდამოკიდებულებაში სითბო და სიახლოვე;
- მუდმივი ურთიერთკავშირი;
- ურთიერთქმედებაში უფრო შემოქმედებითი, ვიდრე ფორმალური მიღგომა.

შევნიშნავთ, რომ ეს ჩამონათვალი გარკვეულწილად სასურველია აგრეთვე ნებისმიერ შემთხვევაში მარკეტოლოგისა და რესპონდენტის ურთიერთობის დროს.

იმისათვის, რომ კარგად გავერკვეთ მარკეტინგული პრობლემის არსები, საჭიროა გავაანალიზოთ ფაქტორები, რომლებიც დასმულ პრობლემაზე გავლენას ახ-

დენებ, შევისწავლოთ წარსული, საკანონმდებლო და ეკონომიკური გარემო, რესურსები, მომხმარებელთა ქცევა და სხვა. ეს საკითხები შეიძლება მოკლედ შემდეგი სქემის სახით მოვიტანოთ (იხ. ნახაზი 1.3) [Dennis P. Slevin, Strategy Formation Pattern Performance and the Significance of Context. *Journal of Management*, 1997, p. 189-209]




ნახაზი 1.3. მარკეტინგული კვლევის განსაზღვრაზე მოქმედი ფაქტორები

- **შინა ინფორმაცია და პროგნოზი.** მარკეტინგული კვლევის პრობლემას განსაზღვრის დროს დიდი მნიშვნელობა აქვს გავითვალისწინოთ გაყიდვების, შემოსავლების, მოსახლეობის, დემოგრაფიისა და მომხმარებელთა ცხოვრების სტილის შესახებ შინა ინფორმაცია, პიპოთეზები.
- **რესურსები და შეზღუდვები.** მარკეტინგული კვლევის პრობლემის განსაზღვრის დროს აუცილებელია გავითვალისწინოთ კვლევის ჩამტარებლის რესურსები, როგორიცაა ფული, კვლევის ჩვევები და სხვა, აგრეთვე შეზღუდვები, მაგალითად, ხარჯი და დრო.
- **მიზნები.** მარკეტინგული კვლევის პრობლემის განსაზღვრის დროს საჭიროა ორი ტიპის მიზნის მკაფიოდ დასახვა.პირველია კომპანიის მიზანი, ხოლო მეორე – გადაწყვეტილების მიმღები პირის მიზანი.
- **მომხმარებელთა ქცევა.** მარკეტინგული კვლევის პრობლემის განსაზღვრის დროს გარემოებათა ძირითადი ფაქტორია მომხმარებელთა ქცევა. ამ მიმართულებით ხდება შემდეგი ფაქტორების გაანალიზება:
 - პროდუქციის მყიდველთა და არამყიდველთა რაოდენობა და გეოგრაფიული განაწილება;


- დემოგრაფიული და ფსიქოლოგიური მახასიათებლები;
 - პროდუქტის და მისი მონათესავე პროდუქტის კატეგორიების მოხმარების მახასიათებლები;
 - რეკლამაზე და სტიმულირებაზე მომხმარებელთა რეაქცია;
 - ფასისადმი მგრძნობელობა;
 - მაღაზიებისადმი ერთგულება;
 - მომხმარებელთა უპირატესობები.
- **საკანონმდებლო გარემო.** მარკეტინგული კვლევის პრობლემის განსაზღვრის დროს უდიდესი მნიშვნელობა აქვს საკანონმდებლო გარემოს. ის მოიცავს სახელმწიფო პოლიტიკას, კანონებს, სახელმწიფო ორგანოებს, ორგანიზაციებისა და მოქალაქეების ქმედებების რეგულირებას, ნორმის უფლებას, პატენტებს, სავაჭრო მარკებს, შეთანხმებებს, გადასახადებ, ტარიფებს და სხვა.
 - **ეკონომიკური გარემო.** მარკეტინგული კვლევის პრობლემის განსაზღვრის დროს ხდება ეკონომიკური გარემოს გათვალისწინება, რომელიც ხასიათდება შემოსავლებით, ფასებით, დანაზოგებით, კრედიტის პირობებით და ეკონომიკის ზოგადი პირობებით.

მარკეტინგული კვლევის პრობლემის განსაზღვრის დროს ერთ-ერთ ძირითად გასათვალისწინებელ ფაქტორს წარმოადგენს სათანადო ინფორმაციის მიღება და საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოვიპოვოთ ეს ინფორმაცია. ამ დროს წარმოიშობა კიდევ ერთი სერიოზული პრობლემა – მმართველობითი პრობლემა, რომელშიც იგულისხმება ის, თუ რა უნდა გააკეთოს მარკეტოლოგმა (ტოპ-მენეჯერმა). ეს მოსაზრებები შეიძლება გამოვსახოთ სქემით, რომელიც მოცემულია 1.4 ნახაზზე.

შევნიშნავთ, რომ მარკეტინგული კვლევის პრობლემის განსაზღვრის დროს მკვლევარები უშვებენ ორ ტიპურ შეცდომას. პირველი დაკავშირებულია პრობლემის ხელოვნურად ზოგად დასმასთან, რაც ართულებს პრობლემის სიცხადეს. მეორე შეცდომა კი, პირიქით, დაკავშირებულია პრობლემის ძალიან ვიწრო აზრით დასმასთან, რამაც შეიძლება უხეშ შეცდომამდე მიგვიყვანოს. ამიტომ საჭიროა აღნიშნული შეცდომების ალბათობების შემცირება. ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ მარკეტინგული კვლევის პრობლემის განსაზღვრის დროს საჭიროა როგორც მისი ზოგადი სათანადო დასმა, ასევე მასში შემავალი კომპონენტების განსაზღვრა (იხ. ნახაზი 1.5) [Malhotra N., Analyzing marketing research data. *J. Marketing Research*, 1987].



ნახაზი 1.4. კვლევის ზოგადი პრობლემა



ნახაზი 1.5. მარკეტინგული კვლევის პრობლემის განსაზღვრა

შევნიშნავთ, რომ კონკრეტული კომპონენტები შეიძლება შედგებოდეს სხვადა-სხვა მონაცემებისგან. მაგალითად, ურნალ “Tennis”-ის ხელმომწერთა შესახებ ინფორმაცია მოიცავს შემდეგს [Malhotra N., Marketing research: an applied orientation. 5/E. Pearson Education India, 2008]:


- დემოგრაფიული ინფორმაცია. მონაცემები მამაკაცებისა და ქალების შესახებ.
- ფსიქოლოგიური მახასიათებლები და ცხოვრების სტილი: მომხმარებელთა მიერ ფულის ხარჯვა და თავისუფალი დროის გატარება, ფიტნესი, მოგზაუ-

რობა, მანქანებისარენდა, ტანსაცმელი, საყოფაცხოვრებო ელექტრონიკა, საკრედიტო ბარათები, ფინანსური ინგესტიციები.

- აქტივობა ჩოგბურთში. სად და რა სისმირით თამაშობენ ჩოგბურთს, როგორია მათი ოსტატობის დონე.
- რა დროს ხარჯავენ ჟურნალის ხელმომწერები ნომრის კითხვაზე, რა ხნის განმავლობაში ინახავენ ჟურნალს, უზიარებენ თუ არა ისინი ჟურნალის შინაარსს სხვა მოთამაშებს.

ამ საკითხების ანალიზისთვის მარკეტოლოგები იყენებენ სხვადასხვა სახის მოდელებს (მაგალითად, ანალიზურ მოდელს, ვერბალურ მოდელს, გრაფიკულ მოდელს, მათემატიკურ მოდელს). ამ მოდელების აგება კი დაკავშირებულია იმ აუცილებელ მარკეტინგულ ინფორმაციასთან, რომელიც მარკეტოლოგმა უნდა მიიღოს რესპონდენტებისგან.

ახლა მოკლედ შევეხოთ მარკეტინგული კვლევის გეგმას. ასეთი გეგმა წარმოადგენს მარკეტინგული კვლევის ჩატარების საფუძველს. გეგმის სათანადო შედეგენა მარკეტოლოგის ეფექტიანი და სარისხიანი მუშაობის გარანტიას იძლევა. მარკეტინგული კვლევის გეგმის ზოგადი სახე შეიძლება შემდეგი სქემის საშუალებით აღვწეროთ (იხ. ნახაზი 1.6) [Malhotra N., Analyzing marketing research data. *J. Marketing Research*, 1987]:



ნახაზი 1.6. მარკეტინგული კვლევის გეგმის კლასიფიკაცია

1) საძიებო კვლევა მდგომარეობს იმაში, რომ მარკეტოლოგმა რაც შეიძლება დაწვრილებით უნდა შეისწავლოს დასახული პრობლემა და გაერკვეს პრობლემას-

თან დაკავშირებულ საკითხებზე. მარკეტოლოგს ესაჭიროება შემდეგი ამოცანების გადაჭრა:

- ჩამოაყალიბოს და განსაზღვროს პრობლემა;
- განსაზღვროს მოქმედების ალტერნატიული მიმართულებები;
- ჩამოაყალიბოს ჰიპოთეზები;
- გამოყოს საკვანძოს ცვლადები და მათ შორის ურთიერთკავშირები შემდეგი შესწავლის მიზნით;
- დაასაბუთოს პრობლემის გადაწყვეტის მიდგომები;
- დაადგინოს შემდგომი კვლევის პრიორიტეტები.

2) საძიებო კვლევის შემდეგ მარკეტოლოგმა უნდა შეაჯამოს ჩატარებული კვლევის შედეგები და მიიღოს გადაწყვეტილება შემდეგი კვლევების შესახებ გარკვეული გეგმის მიხედვით.

3) დესკრიფციულიკვლევა გულისხმობს ბაზრის გარკვეული მახასიათებლების აღწერას და ემსახურება შემდეგ მიზნებს:

- მომხმარებელთა და ვაჭრობის პერსონალის აღწერა გარკვეული მახასიათებლის ჯგუფების სახით;
- მომხმარებელთა წილის განსაზღვრა მთლიან (გენერალურ) ერთობლიობას შორის;
- მარკეტინგული ცვლადების განსაზღვრა;
- გარკვეული პროგნოზების გაკეთება პროდუქციის მომავალი გაყიდვების შესახებ.

დესკრიფციული კვლევა საბოლოო კვლევის გეგმის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია. ამ ტიპის კვლევის დროს მარკეტოლოგს უნდა შეეძლოს შემდეგ კითხვებზე პასუხების გაცემა: „ვინ“, „რა“, „როდის“, „სად“, „რატომ“, „როგორ“ და სხვა.

4) მიზეზ-შედეგობრივი კვლევა საბოლოო კვლევის ერთ-ერთი შემადგენელი ტიპია. მისი ძირითადი ამოცანაა ბაზრის და მომხმარებელთა მახასიათებლების მიზეზ-შედეგობრივი კავშირის არსებობის დადგენა.

- მარკეტოლოგმა უნდა გაარკვიოს, რომელი ცვლადი სიდიდეები წარმოადგენს მიზეზს (დამოუკიდებელი ცვლადები) და რომელი შედეგს (დამოკიდებული ცვლადები).

შევნიშნავთ, რომ მიზეზ-შედეგობრივი კვლევის ძირითადი მეთოდია ექსპერიმენტის ჩატარება.

მარკეტინგული კვლევის პროცესში მეორად ინფორმაციას მიშვნელოვანი ადგილი უკავია. ასე, მაგალითად, პროექტების განხორციელების დროს, განსაკუთრებით, მცირე ბიუჯეტის დროს, კვლევის ეფექტიანობა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული მეორადი ინფორმაციის ანალიზზე. მეორადიინფორმაციის მოპოვება შეიძლება, მაგალითად, გამოქვეყნებული მასალების სახით, ონლაინ რეჟიმში მონაცემთა ბაზის სახით, სინდიცირებული მომსახურების სახით და სხვა. მარკეტოლოგს უნდა შეეძლოს პირველადი და მეორადი ინფორმაციების წყაროს გაანალიზება, მათ შორის განსხვავების საკითხების შესწავლა, მათი გამოყენება, შეფასების კრიტერიუმების დადგენა და სხვა.

პირველად მონაცემებს მარკეტოლოგი მოიპოვებს მარკეტინგული კვლევის პრობლემის გადასაწყვეტად. პირველადი მონაცემების მოპოვების პროცესი შეეხება მარკეტინგული კვლევის ექვსივე ეტაპს და, როგორც წესი, მოითხოვს დროისა და საშუალებების დიდ დანახარჯს. მეორადი ინფორმაცია შედარებით იოლი მოსაპოვებელია და მათი მოძიება შესაძლებელია უურნალებიდან, ბუკლეტებიდან, სხვადასხვა სპეციალური გამოცემებიდან და სხვა, რაც მოითხოვს შედარებით მცირე ფონანსურ და დროით დანახარჯებს და სწრაფად რეალიზდება დროში.

პირველადი და მეორადი ინფორმაციების განსხვავება მოტანილია 1.1 ცხრილში.

შევნიშნოთ, რომ ხშირად, ზოგიერთი მარკეტინგული კვლევის ჩატარების დროს, მეორადი ინფორმაცია ერთადერთი წყაროა, მაგალითად, ინფორმაცია მოსახლეობის აღწერის შესახებ, მეორადი ინფორმაციის გამოყენებით შესაძლებელია შემდეგი საკითხების ანალიზი:

- 1) მარკეტინგული პრობლემის იდენტიფიცირება;
- 2) პრობლემის ზუსტად ფორმულირება;
- 3) პრობლემის გადაწყვეტისადმი მიღების შემუშავება;
- 4) კვლევის შესაბამისი გეგმის შემუშავება (მაგალითად, მთავარი ცვლადების განსაზღვრა);
- 5) საძიებო კითხვებისა და პიპოთეზების შემოწმება;
- 6) პირველადი მონაცემების დაწვრილებით შესწავლა და მათი სწორი ინტერპრეტაცია.

ცხრილი 1.1

პირველადი და მეორადი მონაცემების შედარება


№		პირველადი ინფორმაცია	მეორადი ინფორმაცია
1	შეგროვების მიზანი	კვლევით პრობლემის გადაწყვეტა	სხვა ამოცანების გადაჭრა
2	შეგროვების პროცესი	მნიშვნელოვანი ძალისხმევა	სწრაფი და ადვილი
3	შეგროვების ხარჯები	დიდი	შედარებით მცირე
4	შეგროვების დრო	ხანგრძლივი	მოკლე

მეორადი ინფორმაცია უნდა იყოს სანდო და შეესაბამებოდეს კვლევის პრობლემას. ამისათვის საჭიროა მათი სხვადასხვა სახით კლასიფიცირება. ერთ-ერთი ასეთი კლასიფიკაცია მოტანილია 1.7 ნახაზის სახით [Malhotra N., Analyzing marketing research data. *J. Marketing Research*, 1987].

შიდა ინფორმაციაში იგულისხმება, მაგალითად, მონაცემები კონკრეტული ორგანიზაციის შესახებ გამზადებული სახით, რომლის მარკეტინგული კვლევაა ჩასატარებელი. ხოლო გარე ინფორმაციაში იგულისხმება მარკეტინგულ კვლევაში გამოსაყენებელი მონაცემები, რომელიც მოპოვებულია ორგანიზაციის გარეთ. მაგალითისთვის შეიძლება მოვიტანოთ გარე ინფორმაცია, რომელსაც მარკეტოლოგებს სთავაზობენ სინდიცირებული მომსახურების სფეროდან.

1) დემოგრაფიული მონაცემები:

- პირადი მონაცემები (გვარი, სახელი, მისამართი, ტელეფონი);
- სქესი;
- ოჯახური მდგომარეობა;
- ასაკი (ოჯახის წევრების ჩათვლით);
- შემოსავალი;
- პროფესია;
- შვილების რაოდენობა;
- განსაზღვრული საკუთრება;
- განსაზღვრულ ადგილზე ცხოვრების ხანგრძლივობა;
- მანქანების მარკა და რაოდენობა.




ნახაზი 1.7. მეორადი ინფორმაციის კლასიფიკაცია

2) ფსიქოგრაფიული მონაცემები ცხოვრების სახის შესახებ:

- გოლფში მეცადინეობა;
- წიგნების კითხვა;
- სირბილი;
- შინაური ცხოველები;
- ოეგზაობა;
- ელექტრონული ტექნიკისადმი ინტერესი;
- საკაბალო ტელევიზიების ყურება.

შევნიშნავთ, რომ არსებობს სხვადასხვა სახის უამრავი მომსახურების ფორმები, რომელიც უაღრესად მრავალფეროვანი ინფორმაციის მიწოდებას სთავაზობს დაინტერესებულ პირებს და ორგანიზაციებს.

მაგალითისთვის მოვიტანოთ კიდევ მარკეტინგულ კვლევაში გამოყენებული პუბლიკაციის სახით მოწოდებული მეორადი მონაცემების კლასიფიკაციის სქემა (იხ. ნახაზი 1.8) [Malhotra N., Analyzing marketing research data. *J. Marketing Research*, 1987]



ნახაზი 1.8. მეორადი ინფორმაციის გამოქვეყნებულიწყაროების კლასიფიკაცია


მარკეტინგულ კვლევაში დიდი ადგილი უკავია ხარისხობრივ და რაოდენობრივ ანალიზს. საჭირო ინფორმაციის მოპოვების მეთოდები შეიძლება იყოს ხარისხობრივ და რაოდენობრივიც. ამასთან, ხარისხობრივ კვლევაში იგულისხმება, ძირითადად, მარკეტინგულ კვლევის პრობლემის არსში გარკვევა, მაშინ, როცა რაოდენობრივ კვლევაში იგულისხმება შეგროვებული ინფორმაციის რაოდენობრივი ფორმით წარმოდგენა, სტატისტიკური მეთოდებით მისი ანალიზი.

მარკეტინგულ კვლევაში მეორად ინფორმაციასთან ერთად პირველადი ინფორმაციის გამოყენებით კვლევის სქემა მოტანილია 1.9 ნახაზის სახით.

ხარისხობრივ კვლევის მიზანია პრობლემასთან დაკავშირებული საკითხების შინაარსობრივი გარკვევა, ის რაოდენობრივი კვლევის მოსამზადებელი ეტაპია. ამორი სახის კვლევის მეთოდები ერთმანეთს ავსებს ზოგად მარკეტინგული კვლევაში.

მარკეტინგული კვლევაში დიდი მნიშვნელობა აქვს ინფორმაციის მოპოვების ხერხებს, რომელთა შორის ძირითადი მაინც გამოკითხვის მეთოდია, რომელიც შეიძლება შემდეგნაირად იყოს კლასიფიცირებული:

- 1) გამოკითხვა ტელეფონით – ჩვეულებრივი ტელეფონი, ტელეფონი კომპიუტერის გამოყენებით;
- 2) პირადი გამოკითხვა – სახლში, სავაჭრო ცენტრში, ელექტრონული ფოსტით;
- 3) საფოსტო გამოკითხვა – სხვადასხვა საფოსტო სახის საშუალებების გამოყენება;
- 4) გამოკითხვა ინტერნეტით;
- 5) დამხმარე საშუალებები – რეკლამები, პრეზენტაციები, დეგუსტაცია და სხვა.



ნახაზი 1.9. ინფორმაციის კლასიფიკაცია მარკეტინგულ კვლევაში

შევნიშნავთ, რომ გამოკითხვის მეთოდებს გააჩნია თავისებურებები და საჭიროა ანკეტების შედგენის დროს მათი გათვალისწინება. მაგალითად, გასათვალისწინებელია რესპონდენტების ანონიმურობა, გამოსაკითხი ინფორმაციის „მგრძნობელობა“ და სხვა. დაკვირვების მეთოდებში მარკეტოლოგები იყენებენ ორ სახეობას:

- 1) სტრუქტურირებული დაკვირვებები – ამ დროს დამკვირვებელი წინასწარ აკონკრეტებს და განსაზღვრავს გამოსაკითხი ინფორმაციას;

2) არასტრუქტურირებული დაკვირვება – ამ დროს დამკვირვებელი იდებს შველა ინფორმაციას, რაც დაკავშირებულია დასაკვირვებელ ობიექტთან.

ჩვენ უკვე განვიხილავთ კვლევის მიზეზ-შედეგობრივი ტიპი და მისი კავშირი საძიებო და დესკრიფიულ კვლევასთან; კვლევა და კვლევის შედეგად გაკეთებული დასკვნები კი ცხადია დაკავშირებულია გარკვეული ექსპერტების ჩატარებასთან. შევნიშნავთ, რომ ექსპერტების ჩატარებაში იგულისხმება ერთ ან რამდენიმე დამოუკიდებელ ცვლადზე დაკვირვება და მათი გავლენის შესწავლა ერთიან რამდენიმე დამოკიდებული ცვლადის მიმართ. მაგალითად, სავაჭრო ცენტრის მენეჯერს (მარკეტოლოგს) მიაჩნია, რომ გაყიდვების მოცულობა დამოკიდებულია მომსახურების ხარისხზე. მენეჯერის მიერ გამოთქმული ჰიპოთეზის (ვარაუდის) შემთხვევაში ფაქტორი-მიზეზი (დამოუკიდებელი ცვლადი) არის მყიდველთა მომსახურების ხარისხი, ხოლო ფაქტორი-შედეგი (დამოკიდებული ცვლადი) არის გაყიდვების მოცულობა.

მარკეტინგულ კვლევაში საკმაო ადგილი ეთმობა გაზომვისა და სკალირების საკითხებს. განიხილება ოთხი ძირითადი სკალა [Malhotra N., Analyzing marketing research data. *J. Marketing Research*, 1987]:

- 1) ნომინალური;
- 2) რიგობითი;
- 3) ინტერვალური;
- 4) ფარდობითი.

რაც შეეხება გაზომვას, მისი ძირითადი დანიშნულებაა მიანიჭოს გარკვეული რიცხვები შესასწავლ ობიექტს ან მის რაიმე მახასიათებლებს. შემდგომში მათი სტატისტიკური ანალიზის ჩატარების მიზნით შევნიშნავთ, რომ, როგორც წესი, მარკეტინგულ კვლევაში სკალირება განიხილება გაზომვის შემდგომ ეტაპად.

ახლა მოკლედ განვიხილოთ სკალების ძირითადი ტიპები:


1) **ნომინალური სკალა** – ესარის მარკირების პირობითი სქემა. მაგალითად, მარკეტინგული კვლევის დროს ნომრები შეიძლება მივანიჭოთ რესპონდენტებს, რომელიც შემდეგ გამოიყენება მათი იდენტიფიკაციისთვის. სოციალურ დაზღვევაში დაზღვეულის პოლისის მინიჭებული ნომერი არ გვეუბნება იმას, რომ ამ დაზღვეულს გააჩნია რაიმე სახის უპირატესობა იმ დაზღვეულთან შედარებით, რომლის პოლისის ნომერი ნაკლებია. ანალოგიური შინაარსით ნომრები (რიცხვები) შეიძლება მივანიჭოთ შესასწავლ ობიექტებს, მაგალითად, მაღაზიებს, ბანკებს და სხვა.

2) რიგობითი სკალა – ეს არის ობიექტებზე გარვეული უპირატესობით მინიჭებული რანგები. ეს რანგები გარკვეული წესით ახარისხებს ობიექტებს, მაგრამ ამ დახარისხების შეფასებაზე წარმოდგენას არ იძლევა. მაგალითად, ობიექტს, რომელიც რანგით პირველ ადგილზეა, გააჩნია უფრო ძლიერად გამოხატული მახასიათებელი, ვიდრე რანგით მეორე ადგილზე მდგომ ობიექტს, მაგრამ ობიექტების ასეთი რანჟირება არ იძლევა ობიექტების მახასიათებელებს შორის განსხვავების შეფასების საშუალებას.

3) ინტერვალური სკალა – ესარის ტოლი სიგრძის შუალედები, რომელიც ასახვს გასაზომი მახასიათებლების მნიშვნელობებს. იგი შეიცავს რიგობითი სკალის მთლიან ინფორმაციას და საშუალებას იძლევა შევადაროთ ერთმანეთს ობიექტებს შორის განსხვავებები.

4) ფარდობითი სკალა – ეს არის წინა სამივე სკალის თვისებების მატარებელი ინფორმაციული სკალა. ამრიგად, ამ სკალის საშუალებით შეიძლება ობიექტების კლასიფიკაცია, რანჟირება და ინტერვალების მიხედვით ობიექტებს შორის განსხვავების შედარება. ფარდობითი სკალის ზოგადი მაგალითებია: ადამიანის სიმაღლე, წონა, ასაკი; მარკეტინგში ფარდობითი სკალით იზომება გაყიდვების მოცულობა, დანახარჯები, მყიდველთა რაოდენობა და სხვა.

სკალირების მეთოდები ორ ძირითად ჯგუფად იყოფა, რომელიც შეიძლება შემდეგი სქემის სახით წარმოვადგინოთ:



ნახაზი 1.10. სკალირების მეთოდების კლასიფიკაცია

1) შედარებითი სკალირების მეთოდები. ამ დროს რესპონდენტს სთავაზობენ თრი ობიექტიდან ერთ-ერთის არჩევას გარკვეული კრიტერიუმით. წყვილობრივი სკალირება ყველაზე უფრო გავრცელებული მეთოდია შედარებით სკალირებაში. მაგალითად, რესპონდენტს შეიძლება შესთავაზონ თოხი წყვილი Coca-Cola-ს სასმელი, საიდანაც მან უნდა აარჩიოს თითო ცალი ყველა წყვილიდან რაიმე მოსაზრების მიხედვით. საინტერესოა შევნიშნოთ, რომ კომპანია Coca-Cola-მ მარკეტინგული

კვლევის პროცესში ჩაატარა 192 ათასი წყვილობრივი შედარება, მანამ, სანამ New Coke-ს გამოუშვებდა.

წყვილობრივი შედარებითი სკალირების გარდა ტარდება აგრეთვე დალაგებული სკალირება, როდესაც რესპონდენტს სთავაზობენ ერთდროულად რამდენიმე ობიექტის რანჯირებას გარკვეული კრიტერიუმით, ობიექტებისთვის უპირატესობის მინიჭებით. განიხილება აგრეთვე შედარებითი სკალირების სხვა სახის მეოდები.

2) არაშედარებითი სკალირების მეოდები. ამ დროს შესასწავლი ობიექტების ჯგუფში განსახილავი ობიექტის შეფასება ხდება სხვა ობიექტისგან დამოუკიდებლად არაშედარებითი სკალირების ძირითადი სახეები შემდეგია[111]:

- **უწყვეტი რეიტინგული სკალა.მას** კიდევ გარკვეული სკალა ეწოდება. ამ დროს რესპონდენტს შეუძლია ობიექტს მიანიჭოს ნებისმიერი რიცხვი გარკვეული შუალედიდან შეფასების მიზნით. უწყვეტი სკალირება მარკეტინგულ კვლევაში სულ უფრო პოპულარული ხდება კომპიუტერული ტექნოლოგიების განვითარების გამო.
- **დეტალიზებული რეიტინგული სკალა.ესარის** რიცხვებისგან შემდგარი გაზომვის სკალა ან ობიექტის კვლევის კატეგორიების აღწერა, რომელიც დალაგებულია გარკვეული წესით. მაგალითად, მარკეტინგულ კვლევაში გავრცელებულია ლაიკერტის სკალა, რომლის გამოყენების დროს რესპონდენტისგან მოითხოვება შესასწავლი ობიექტის შესახებ გარკვეულ ინფორმაციაზე დათანხმება ან უარი.
- **სემანტიკური დიფერენციალური სკალა.ეს** არის აღნიშვნების სკალა, როდესაც რესპონდენტმა შესასწავლი ობიექტების შესახებ შეთავაზებული მახასიათებლების მთლიან ინფორმაციაში უნდა მონიშნოს საკუთარი უპირატესი შეხედულება ობიექტის ჩამოთვლილი მახასიათებლებიდან.
- **სტეპელის სკალა.ეს** არის ათბალიანი შეფასების სკალა, რომლის დროსაც რესპონდენტმა უნდა განსაზღვროს, რამდენად სწორია ან არასწორია შესასწავლი ობიექტის აღმწერი ტერმინი და გააკეთოს რიცხვითი არჩევანი.

მარკეტინგულ კვლევაში აგრეთვე გამოიყენება მრავალგანზომილებიანი სკალები. ამ დროს განიხილება შესასწავლი ობიექტებისა და მათი მახასიათებლების გარკვეული რაოდენობა. ეს მონაცემები გარკვეული წესით აღიწერება სკალაზე. მკვლევარიმარკეტოლოგი კონკრეტული ამოცანის შესაბამისად აღწევს ამ მრავლობითი მახასიათებლების შემცველი ინფორმაციის ნაწილს მისი შემდგომი მათემა-

ტიკური (სტატისტიკური) დამუშავების მიზნით. მრავალგანზომილებიანი (ერთობლივი) სკალირება მარკეტინგულ კვლევაში სკალირების პოპულარული მათემატიკური მეთოდია.

მარკეტინგულ კვლევაში ერთ-ერთ საპასუხისმგებლო ეტაპიაანკეტების და დაკვირვების შედეგების ჩაწერისთვის ფორმების შემუშავება შემდგომი ეტაპების განხორციელებისთვის.

ანკეტა – ეს არის რესპონდენტისგან მონაცემების მიღების შეკითხვების კრებული. სხვანაირადრომ ვთქვათ, ანკეტა გამოკითხვის პროგრამაა და წარმოადგენს გაზომვის ინსტრუმენტს. ამრიგად, ანკეტა მონაცემთა შეკრების სტრუქტურირებული სახეა, რომელიც შედგება წერითი ან ზეპირი შეკითხვებისგან, რომელზეც უნდა უპასუხოს რესპონდენტმა.

ანკეტისსუსტ მხარედ ითვლება მისი სუსტი თეორიული დაფუძნება. რადგანაც არ არსებობსიდეალური ანკეტის შედგენის მეცნიერული პრინციპები, ამიტომ ბევრი რამ დამოკიდებულია მარკეტოლოგის პრაქტიკული კვლევით მიღებულ ოსტატობაზე. ხშირად ამბობენ, რომ ანკეტის შედგენა ეს უფრო ხელოვნებაა, ვიდრე მეცნიერება. ანკეტის შედგენის პროცესი უნდა ითვალისწინებდეს შემდეგს [Malhotra N., Analyzing marketing research data. *J. Marketing Research*, 1987]:

- აუცილებელი ინფორმაციის განსაზღვრა;
- გამოკითხვის ხერხის არჩევა;
- შეკითხვების შინაარსის განსაზღვრა;
- შეკითხვების ტიპების განსაზღვრა;
- შეკითხვების სიტყვიერი განსაზღვრა;
- შეკითხვების განლაგების რიგი;
- ანკეტის ფორმის განსაზღვრა;
- ანკეტის დაბეჭდვა.

გარდა ჩამოთვლილი საკითხებისა, ანკეტის შედგენის დროს წარმოიშობა უამრავი საკითხი, რომელთა გათვალისწინება საჭირო ხდება რესპონდენტიდან მარკეტოლოგის კითხვაზე სრულყოფილი პასუხის მისაღებად. ჩვენ მოკლედ შევეხებით ზოგიერთ მათგანს.

1) ერთ ანკეტაში რამდენიმე შეკითხვის შეტანამაგალითად, განვიხილოთ შეკითხვა: „თქვენი აზრით, Coca-Cola გემრიელი და გამაგრილებელი სასმელია?“ დადებითი პასუხის შინაარსი ცხადია, უარყოფითი პასუხი კი შეიძლება ნიშნავდეს,

რომ Coca-Colaგემრიულია, მაგრამ გამაგრილებელი არ არის. ამიტომ სასურველია ანკეტაში ორი შეკითხვის შეტანა.

2) ორმაგი შეკითხვა.ეს არის შეკითხვის ტიპი, რომელიც ორ საკითხს შეიცავს. მაგალითად, „რატომ ყიდულობთ საქონლის ხორცს გუდვილში?“ შესაძლო პასუხებია: „გუდვილი“ სახლთან ახლოს მდებარეობს“, „ხორცის ყიდვა „გუდვილში“ მეგობარმა მირჩია.

3) ფილტრირებული შეკითხვა. თუ რესპონდენტს უნდა დავუსვათ რაიმე შეკითხვა ათი მაღაზიის შესახებ, შეიძლება ის იყოს გათვითცნობიერებული ერთდროულად ათივე მაღაზიასთან დაკავშირებით დასმულ შეკითხვაზე. ამიტომ საჭიროა თითოეულ მაღაზიასთან დაკავშირებით შეკითხვების ცალ-ცალკე დასმა.

გარდა ამისა, ანკეტის შედგენის დროს მარკეტოლოგმა მხედველობაში უნდა მიიღოს დროის ფაქტორი, რესპონდენტის ინფორმირებულობა შეკითხვასთან მიმართებაში, იცის თუ არა შესაძლო რესპონდენტმა შეკითხვასთან დაკავშირებული სფერო, შეუძლია რესპონდენტს დასმულ შეკითხვაზე სრულყოფილი პასუხის გაცემა და სხვა. ამიტომ მარკეტოლოგმა ანკეტის შედგენის დროს ბევრი ნიუანსი უნდა გაითვალისწინოს, რომელიც შეიძლება წარმოიშვას რესპონდენტის პასუხების დროს.

4) დია შეკითხვა.ასეთ შეკითხვებში იგულისხმება, მაგალითად, „სპორტის რომელი სახეობა გიყვართ?“ როგორც წესი, დია კითხვებზე რესპონდენტები პასუხობენ სიტყვიერად და ამიტომ საჭიროა პასუხის რაიმე სახით დაფიქსირება.

5) დახურული კითხვა.ასეთი შეკითხვები, მაგალითად, რომელსაც მრავალი ან ალტერნატიული პასუხები გააჩნია. მაგალითად, „აპირებთ თუ არა უახლოეს ექვს თვეში მანქანის შეძენას?“ შეკითხვის შესაძლო პასუხებია: „არ ვაპირებ“, „ალბათ არა“, „არ მაქვს გადაწყვეტილი“, „შესაძლოა კი“, „ვაპირებ“, „არ ვიცი“.


ანკეტის შედგენის დროს საჭიროა აგრეთვე შემდეგის გათვალისწინება: შეკითხვა ნათლად უნდა ასახავდეს შეკითხვის საგანს. მარკეტინგული კვლევის გამოცდილება მარკეტოლოგს „ურჩევს“ ანკეტის მასალის გათვალისწინებით შეკითხვებისთვის გამოყენებული იყოს სიტყვები: „ვინ“, „რა“, „როდის“, „სად“, „რატომ“, „როგორ“. სიტყვების ამ კრებულს ექვსი “w”-ს უწოდებენ – who, what, when, where, why, way. გარდაამისა, შეკითხვების ტექსტის შემთხვევაში, ის უნდა შედგებოდეს შედარებით მარტივი სიტყვებისგან და შეძლებისდაგვარად შეესაბამებოდეს შესაძლო რესპონდენტების ჯგუფის განათლების დონეს და სხვა. სასურველია შეკი-

თხვების ისეთი სახით ჩამოყალიბება, რომ რესპონდენტის შესაძლო პასუხები ერთი სიტყვისგან შედგებოდეს. მაგალითად, განვიხილოთ შეკითხვა: „ჩვეულებრივ, თვეში რამდენჯერ შედიხართ პროდუქტების შესაძენად „გუდვილში?“ შესაძლო პასუხებია:

- რეგულარულად;
- ხშირად;
- ზოგჯერ;
- შემთხვევით;
- არცერთჯერ.

კიდევ ერთი ნიუანსი ანკეტის შედგენის დროს ის არის, რომ შეკითხვა არ უნდა იყოს მიმთითებელი ხასიათის და არ უნდა უბიძგებდეს რესპონდენტს გარკვეული პასუხის გაცემას. მაგალითად, განვიხილოთ შეკითხვა: „როგორ მიგაწინა, პატრიოტი მოქალაქე უნდა ყიდულობდეს თუ არა იმპორტულ საქონელს?“ ასეთი ტიპის შეკითხვებზე რესპონდენტთა უმრავლესობის პასუხიუარყოფითია, შეკითხვის ხასიათიდან გამომდინარე.

ანკეტის შედგენის ერთ-ერთი მარტივი სქემა მოტანილია შემდეგი სქემის სახით (იხ. ნახატი 1.11), რომელიც ასახავს ვთქვათ, მაღაზია „გუდვილის“ პლიენტების ზოგიერთ მახასიათებელს.



ნახატი 1.11. ანკეტის ბლოკ-სქემა

ანკეტით მიღებული ინფორმაცია იყოფა სამ ძირითად ჯგუფად:

- ძირითადი ინფორმაცია. ეს არის კონკრეტული მარკეტინგული კვლევის პრობლემასთან უშუალოდ დაკავშირებული ინფორმაცია;
- კლასიფიკაციური ინფორმაცია. ეს არის ინფორმაცია, რომელიც შეიცავს სოციალურ, ეკონომიკურ და დემოგრაფიულ მახასიათებლებს და გამოიყენება რესპონდენტების გარკვეული წესით კლასიფიკაციისთვის;

იდენტიფიკაციური ინფორმაცია. ეს არის უშუალოდ რეპოდენტის შესახებ ინფორმაცია: გვარი, სახელი, მისამართი, ტელეფონის ნომერი და სხვა.

ანკეტაში შეტანილი კითხვების ფორმას, განლაგებას და თანმიმდევრობას დიდი მნიშვნელობა აქვს კვლევაში და ისინი არსებით გავლენას ახდენს კვლევის რეზულტატებზე. ნებისმიერი სახის ანკეტის შედგენის დროს გათვალისწინებული უნდა იყოს შემდეგი ეტაპები:

- 1) აუცილებელი ინფორმაციის განსაზღვრა;
- 2) გამოკითხვის მეთოდი;
- 3) ცალკეული შეკითხვების შინაარსი;
- 4) პასუხის შეუძლებლობის დაძლევა;
- 5) შეკითხვის ტიპის არჩევა;
- 6) ზეპირი შეკითხვის ფორმულირება;
- 7) შეკითხვების რიგის განსაზღვრა;
- 8) შეკითხვების ფორმის განსაზღვრა;
- 9) ანკეტის გაფორმება;
- 10) ანკეტის წინასწარი ტესტირება.

1.2. მარკეტინგულ კვლევაში თვისებრივი სტატისტიკური მონაცემების სისშირეთა განაწილების შეფასება

მკვლევარი, როგორც წესიპოპულაციის მახასიათებლების შესწავლის მიზნით გამოყოფს მის ნაწილს ანუ შერჩევას და მისი შესწავლის საფუძველზე აკეთებს საჭირო სტატისტიკურ დასკვნებს. სიტყვაში შერჩევა ორი აზრია გაერთიანებული: ერთი, ეს არის პოპულაციის ნაწილი და მეორე, თვითონ ამ ნაწილის გამოყოფის ხერხი. არსებობს შერჩევის განსხვავებული სახეობები, რომელსაც თან ახლავს შესაბამისი ცდომილებები. ამ ცდომილებების შემცირებისა და განეიტრალების მთა-

ვარი საშუალებაა ცდების (დაკვირვებების) რაოდენობის ანუ შერჩევის მოცულობის გაზრდა. შევნიშონთ, რომ შერჩევის მოცულობის დადგენა დამოკიდებულია კონკრეტულ ამოცანაზე და დასახულ მიზანზე. ჩვენ მოკლედ შევეხებით ე.წ. შემთხვევითი შერჩევის ძირითად სახეებს. აქ სიტყვა „შემთხვევითი შერჩევა“ გულისხმობს, რომ შერჩევაში მოხვედრის შანსი გააჩნია პოპულაციის ყოველ ელემენტს. ხშირად შემთხვევით შერჩევას ალბათურ შერჩევას უწოდებენ. შემთხვევითი შერჩევის სახეებია:

1. მარტივი შემთხვევითი შერჩევა.ამ შერჩევას კიდევ ლატარიის პრინციპი ეწოდება. ვთქვათ, გვაინტერესებს კომპანიის თანამშრომელთა დიდი რაოდენობის განათლების დონე. ავიდოთ მათი კადრების აღრიცხვის ნომრები, ჩავწეროთ პატარა ბარათებზე, მოვათავსოთ ყუთში და არევის შემდეგ შემთხვევით ამოვიდოთ საჭირო რაოდენობა. შერჩეული ნომრების მიხედვით აღებული თანამშრომელთა კადრების აღრიცხვის ნომრები მოგვცემს კომპანიის თანამშრომელთა მთელი პოპულაციიდან მარტივ შემთხვევით შერჩევას.

2. შემთხვევითი შერჩევა შემთხვევითი რიცხვების გამოყენებით.არსებობს ე.წ. შემთხვევითი რიცხვები და თუ პოპულაცია გადანომრილია, მაშინ შერჩევის გამოყოფა შეიძლება შემთხვევითი რიცხვების ცხრილით ან სათანადო კომპიუტერული კროგრამებით.

3. სისტემატური შემთხვევითი შერჩევა. თუ პოპულაცია გადანომრილია, მაშინ შეიძლება შემთხვევით ავარჩიოთ რაიმე ციფრი და შერჩევა შევადგინოთ ყოველი მეათე ობიექტის საშუალებით შერჩევის საჭირო მოცულობის მიღებამდე.

4. განშრეგებული შემთხვევითი შერჩევა.ზოგჯერ პოპულაცია შედგება ჯგუფებისაგან (შრეებისაგან) გარკვეული პროპორციით. ასეთ დროს საჭიროა შერჩევაში დაცული იყოს პოპულაციის შრეების პროპორციები.

5. კლასტერული შემთხვევითი შერჩევა.ვთქვათ, გვაინტერესებს მომხმარებელთა აზრი რაიმე პროდუქტის მიმართ. თუ, მაგალითად, ქალაქი დაყოფილია რაიონებად – კლასტერებად, მაშინ შეიძლება კლასტერის შემთხვევით არჩევა და შემდეგ ამ კლასტერში გარკვეული რაოდენობის, რესპონდენტთა გამოკითხვა.

სტატისტიკური მონაცემები (ცდის, დაკვირვების, გამოკითხვის, გაზომვის მონაცემები) შეიძლება თრ ძირითად ჯგუფად დაყოოთ: თვისებრივი (არარაოდენობრივი) და რაოდენობრივი. მაგალითად, თუ გვაინტერესებს რესპონდენტის მონაცემი სის-

ხლის რეზუს ფაქტორთან დაკავშირებით, მაშინ ცდის (გამოკითხვის) შეიძლება იყოს: „დადებითი“ ან „უარყოფითი“, რაც თვისებრივი მონაცემის შინაარსის არის, მაგრამ, თუ გვაინტერესებს რესპონდენტის წონა ან სიმაღლე, მაშინ ცდის (გამოკითხვის) შედეგი იქნება გარკვეული რიცხვი ანუ რაოდენობრივი მონაცემი.

განვიხილოთ მარტივი შემთხვევა, როდესაც შესასწავლ თბიექტს ერთი თვისებრივი მახასიათებელი აქვს ორი შესაძლო დონით: A და მისი უარყოფა \bar{A} . ვთქვათ, ჩავატარეთ n რაოდენობის ცდა (შერჩევის მოცულობაა n), რომლის შედეგები შეიძლება შემდეგი სახით ჩავწეროთ

ცხრილი 1.2

დონეთა განაწილება

ცდა	1	2	...	n
დონე	A	\bar{A}	...	A

ვიგულისხმოთ, რომ n ცდაში A დონის რაოდენობაა $n(A)$, ხოლო $n(\bar{A})$ არის \bar{A} დონის რაოდენობა. ცხადია, $n(A)+n(\bar{A})=n$. $n(A)$ და $n(\bar{A})$ რიცხვებს, შესაბამისად, A და \bar{A} დონეების სიხშირე ეწოდება, ხოლო $\frac{n(A)}{n}$ და $\frac{n(\bar{A})}{n}$ შეფარდებებს, შესაბამისად, A და \bar{A} დონეების ფარდობითი სიხშირე ეწოდება. ჩავწეროთ ეს მონაცემები სიხშირეთა (ფარდობით სიხშირეთა) განაწილების ცხრილების სახით.

ცხრილი 1.3

დონეთა სიხშირე

დონე	A	\bar{A}	ჯამი
სიხშირე	$n(A)$	$n(\bar{A})$	n

ცხრილი 1.4

დონეთა ფარდობითი სიხშირე

დონე	A	\bar{A}	ჯამი
ფარდობითი სიხშირე	$\frac{n(A)}{n}$	$\frac{n(\bar{A})}{n}$	1

შევნიშნავთ, რომ სტატისტიკური მონაცემები შეიძლება შეეხებოდეს მრავალ-
თვისებიან და მრავალდონიან შემთხვევას, რომელსაც ჩვენ არ განვიხილავთ.

მაგალითი 1.1. განვიხილოთ მინიმალური სასურსათო კალათის დღიური
ნორმის ის პროდუქტები (შესასწავლი ობიექტი), რომელიც შეიცავს ცილებს (შე-
სასწავლი მახასიათებლი) ორი შესაძლო დონით A – ცხოველური ცილა, \bar{A} –
მცენარეული ცილა. ასეთი პროდუქტები კალათაში აღმოჩნდა 32 ანუ $n=32$; აქე-
დან 12 პროდუქტი არის მცენარეული ცილის შემცველი, ხოლო 20 პროდუქტი არის
მცენარეული ცილის შემცველი, ე. ი. $n(A)=12$, $n(\bar{A})=20$. ამრიგად, დონეთა სიხში-
რეების განაწილების ცხრილებს ექნება შემდეგი სახე:

ცხრილი 1.5

დონეთა სიხშირის განაწილების მაგალითი

დონე	A	\bar{A}	ჯამი
სიხშირე	12	20	32


ცხრილი 1.6

დონეთა ფარდობითი სიხშირის განაწილების მაგალითი


დონე	A	\bar{A}	ჯამი
ფარდობითი სიხშირე	$\frac{3}{8}$	$\frac{5}{8}$	1

თვისებრივი სტატისტიკური მონაცემების სიხშირეთა განაწილების ცხრილების
სახით აღწერის გარდა გამოიყენება აგრეთვე მათი გრაფიკული წარმოდგენა. მაგა-
ლითად, გამოიყენება სიბრტყეზე ე. წ. მართკუთხედებიანი და წრიული დიაგრამები.
ამ დიაგრამების საილუსტრაციოდ განვიხილოთ შემდეგი მონაცემები.

მაგალითი 1.2. მინიმალური სასურსათო კალათის დღიურ ნორმაში 12 პრო-
დუქტი შეიცავს მხოლოდ ცხოველურ ცილას. აქედან მხოლოდ ოთხი პროდუქტიშე-
იცავს ნახშირწყალს (დონე A), ხოლო ოვა პროდუქტი არ შეიცავს ნახშირწყალს
(დონე \bar{A}). ავაგოთ დონეთა სიხშირეების მართკუთხედებიანი და წრიული დიაგრა-
მები, რომელიც დამატებით კომენტარს არ საჭიროებს. გვექნება (იხ. ნახაზები 1.12
და 1.13)



ნახაზი 1.12. მართკუთხედებიანი დიაგრამა



ნახაზი 1.13. წრიული დიაგრამა

ამრიგად, 12 დასახელებული პოდუქტიდან, რომელიც შეიცავს ცხოველურ ცოლებს, მხოლოდ 33,3% შეიცავს აგრეთვე ნახშირწყლებს.

1.3. მარკეტინგულ კვლევაში რაოდენობრივი სტატისტიკური მონაცემების სიხშირეთა განაწილების შეფასება

განვიხილოთ რაიმე X პოპულაცია და ვიგულისხმოთ, რომ ჩვენთვის საინტერესო მახასიათებლი იზომება რიცხვით. ასეთ შემთხვევაში პოპულაციიდან აღებული ი მოცულობის შერჩევა (n დაკვირვების რეზულტატების ერთობლიობა) იქნება რიცხვების გარკვეული სიმრავლე და ამბობენ, რომ გვაქვს რაოდენობრივი სტატის-

ტიკური მონაცემები. ამ მონაცემებს ასე აღნიშნავენ: $x = x_1, \dots, x_n$, რომელსაც კიდევ ნედლი ანუ პირველადი მონაცემები ეწოდება. ამრიგად, შერჩევა ნედლი სტატისტიკური მონაცემების ერთობლიობაა. ცხადია, ისე როგორც თვისებრივი მონაცემების დროს, აქაც შეგვიძლია სიხშირეთა განაწილება ჩავწეროთ ცხრილის სახით, მართვულხედებიანი და წრიული დიაგრამების გამოყენებით.

რაოდენობრივი მონაცემების შემთხვევაში გამოიყენება სიხშირეთა განაწილების სხვადასხვა გრაფიკული წარმოდგენა. საილუსტრაციოდ განვიხილოთ შემდეგი

ზაგალითი 1.3. განვიხილოთ X პოპულაცია, რომელიც აღნიშნავს საკვები პროდუქტების დადგენილი დღიური ნორმების მთლიან ერთობლიობას გრამეტი.მინიმალური სასურსათო კალათის პროდუქტების რეკომენდებული ნორმებზე 30 შერჩეული პროდუქტის დღიური ნორმების შერჩევა შემდეგია:

$$x = 40, 20, 10, 10, 15, 40, 10, 20, 40, 10, 25, 15, 20, 15, 10,$$

$$50, 50, 50, 50, 15, 50, 25, 10, 40, 15, 15, 50, 5, 5, 20.$$

ჩავწეროთ სიხშირეთა განაწილების ცხრილი და ავაგოთ მათი გრაფიკული წარმოდგენები.

1) ნორმების სიხშირეთა განაწილების

ცხრილი 1.7.


ნორმების სიხშირე

ნორმა	5	10	15	20	25	40	50
სიხშირე	3	6	5	4	2	4	6


2) სიხშირეთა განაწილების წერტილოვან დიაგრამებზე აღნიშნულია წერტილთა ერთობლიობა, სადაც წერტილის აბსცისა არის ნორმა, ხოლო ორდინატარის შესაბამისი სიხშირე (იხ. ნახაზი 1.14).

3) სიხშირეთა განაწილების მესერული დიაგრამა. ესარის მონაკვეთების ერთობლიობა, რომელიც ერთმანეთთან აერთებს წერტილოვანი დიაგრამის წერტილებს აბსცისებთან (იხ. ნახაზი 1.15).

4) სიხშირეთა განაწილების პოლიგონი. ეს არის ტეხნიკური დიაგრამის წერტილებს (იხ. ნახაზი 1.16).




ნახაზი 1.14. ნორმების სიხშირეთა განაწილების წერტილოვანი დიაგრამა




ნახაზი 1.15. ნორმების სიხშირეთა განაწილების მესერული დიაგრამა

შევნიშნავთ, რომ დიაგრამები შეიძლება აგვეგო ფარდობითი სიხშირეებისთვის ანალოგიურად. შევნიშნავთ აგრეთვე, რომ განიხილება სიხშირეთა განაწილების სხვა დიაგრამებიც (ე. წ. დაგროვილ სიხშირეთა დიაგრამები). მაგალითად, ე. წ. ოგივა – დაგროვილ სიხშირეთა პოლიგონი.



ნახაზი 1.16. ნორმების სიხშირეთა პოლიგონი


5) აგაგოთ ოგივა. ყოველი ნორმის სიხშირეს ემატება წინა ნორმების სიხშირეთა ჯამი (იხ. ნახაზი 1.17).



ნახაზი 1.17. ნორმების ოგივა


6) დაგროვილ სიხშირეთა ფუნქცია (კუმულატია). ეს ფუნქცია ნებისმიერი x -თვის იმ ნორმების მნიშვნელობათა სიხშირეების ჯამის ტოლია, რომელიც x -ს არ აღემატება, ადვნიშნოთ ეს ფუნქცია $N_n(x)$ -ით ($n=30$) (იხ. ნახაზი 1.18).

იმ შემთხვევაში, როდესაც მონაცემთა რაოდენობა საკმაოდ დიდია (მეტია ოც-დაათზე), მაშინ აბსცისთა ლერძზე გადაიზომება გარკვეული ტოლი ინტერვალები, შემდეგ ამ ინტერვალებზე როგორც ფუძეებზე აიგება მართკუთხედები, რომელთა სიმაღლეები შესაბამის ინტერვალებში მოხვედრილი მონაცემების სიხშირეებია. ამ წესით აგებული მართკუთხედების ერთობლიობას სიხშირეთა პისტოგრამა ეწოდება.



ნახაზი 1.18. ნორმების გუმულატა

- 7) აგაგოთ ნორმების სიხშირეთა პისტოგრამა. ინტერვალის სიგრძედ ავიღოთ ათი.



ნახაზი 1.19. ნორმების სიხშირეთა პისტოგრამა

პისტოგრამა არის სიხშირეთა ინტერვალური განაწილების ერთ-ერთი სახედა ახასიათებს შერჩევის ელემენტების განაწილებას.

შევნიშნავთ, რომ ინტერვალის Δ სიგრძის მიხედვით ინტერვალების რაოდენობა მიახლოებით დაითვლება $\frac{x_{\max} - x_{\min}}{\Delta}$ ფორმულით, სადაც x_{\max} არის შერჩევის მაქსიმალური, ხოლო x_{\min} შერჩევის მინიმალური ელემენტი. ჩვენს შემთხვევაში გვაქვს: $x_{\max} = 50$, $x_{\min} = 5$, $\Delta = 10$ და ინტერვალების რაოდენობა ხუთის ტოლია. ამასთან, ინტერვალები და მათი რაოდენობები ისე უნდა შეირჩეს, რომ ინტერვალების ერთობლიობამ დაფაროს შერჩევის ყველა ელემენტი – ნებისმიერი ელემენტი რომელიმე ინტერვალში უნდა შედიოდეს.

სიხშირეთა გააწილების ოგივა და კუმულატიური შეიძლება გამოვიყენოთ აგრეთვე სიხშირეთა ინტერვალური განაწილების შემთხვევაში. ამ დროს შერჩევის ელემენტის მნიშვნელობად აიღება ინტერვალის შუა წერტილი, ხოლო ამ მნიშვნელობის სიხშირედ – ინტერვალში ელემენტების რაოდენობა.

1.4. მარკეტინგული კვლევაში შერჩევითი რიცხვითი მახასიათებლების გამოყენება

ჩვენ განვიხილავთ ზოგიერთ შერჩევით რიცხვით მახასიათებელს, რომელიც მონაცემთა ცენტრალური ტენდენციისა და გაფანტულობის რიცხვით საზომებს წარმოადგენს. იმ შემთხვევაში, როდესაც საჭიროა რაიმე ორი ცვლადის ერთდროული განხილვა და მათ შორის ურთიერთკავშირის შესწავლა, გამოიყენება ე. წ. კოვარიაციისა და კორელაციის კოეფიციენტი.

ა) მონაცემთა ცენტრალური ტენდენციის რიცხვითი საზომები.

საშუალო, მოდა, მედიანა

1. **საშუალო, მოდა, მედიანა.** ვთქვათ, გვაქვს რაიმე X პოპულაციიდან აღებული n მოცულობის შერჩევა, რომელიც დალაგებულია არაკლებადობის მიხედვით ანუ ვარიაციულ $x = x_1, \dots, x_n$ მწერივად. ამ მონაცემთა ცენტრალური ტენდენციის (ყოფაქცევის) დასახასიათებლად განიხილება ერთ-ერთი მთავარი შერჩევითი რიცხვითი მახასიათებელი – შერჩევითი საშუალო, რომელიც \bar{x} -ით აღინიშნება და გამოითვლება, როგორც მონაცემთა საშუალო არითმეტიკული

$$\bar{x} = \frac{x_1 + \dots + x_n}{n} = \frac{1}{n} \sum_{i=1}^n x_i. \quad (1.1)$$

შერჩევითი საშუალოს ზოგიერთი ძირითადი თვისებებია:

- 1) $x_i - \bar{x}$ სხვაობას, $i = 1, \dots, n$, მონაცემების საშუალოდან გადახრები ეწოდება. გადახრების ჯამი ნულის ტოლია

$$\sum_{i=1}^n (x_i - \bar{x}) = (x_1 - \bar{x}) + \dots + (x_n - \bar{x}) = 0. \quad (1.2)$$

- 2) ოუ გვაქვს $x = x_1, \dots, x_n$ და შევქმნით ახალ $y = ax + b = (ax_1 + b), \dots, (ax_n + b)$ შერჩევას, მაშინ

$$\bar{y} = \frac{1}{n} \sum_{i=1}^n y_i = a\bar{x} + b.$$

- 3) ოუ გვაქვს ორი ტოლი მოცულობის $x = x_1, \dots, x_n$ და $y = y_1, \dots, y_n$ შერჩევა, აღებული, შესაბამისად, X და Y პოპულაციებიდან და შევქმნით ახალ $z = x \pm y = (x_1 \pm y_1), \dots, (x_n \pm y_n)$ შერჩევას, მაშინ

$$\bar{z} = \frac{1}{n} \sum_{i=1}^n z_i = \bar{x} \pm \bar{y}. \quad (1.3)$$

- 4) ოუ გვაქვს სხვადასხვა მოცულობის ორი $x = x_1, \dots, x_n$ და $y = y_1, \dots, y_m$ შერჩევა და შევქმნით ახალ გაერთიანებულ $x = x_1, \dots, x_n, y_1, \dots, y_m$ შერჩევას, მაშინ

$$\bar{z} = \frac{n}{n+m} \bar{x} + \frac{m}{n+m} \bar{y}. \quad (14)$$

საშუალოს რიცხვით საზომს წარმოადგენს კიდევ ორი რიცხვითი მახასიათებელი: მოდა და მედიანა.

2.მოდა არის ვარიაციული მწყრივის ის ელემენტი, რომელსაც უდიდესი სიხშორე აქვს. თუ ასეთი ელემენტი ერთია, მაშინ გვაქვს უნიმოდალური განაწილება. შეიძლება აღმოჩნდეს, რომ შერჩევაში იყოს ორი და მეტიც მოდა, ან საერთოდ არ იყოს მოდა.

3.მედიანა. თუ $x = x_1, \dots, x_n$ არის რაიმე ვარიაციული მწყრივი, მაშინ მედიანა განისაზღვრება შემდეგი ტოლობით:

$$\tilde{x} = \begin{cases} x_{\frac{n+1}{2}}, & \text{თუ } n \text{ კენტია,} \\ \frac{x_{\frac{n}{2}} + x_{\frac{n+1}{2}}}{2}, & \text{თუ } n \text{ ლუწია.} \end{cases} \quad (15)$$

შევნიშნავთ, რომ საშუალოს საზომის (მოდის) შინაარსი ჰგავს ყოველდიურ ცხოვრებაში გამოყენებული სიტყვის „მოდა“ შინაარსს. ის რაც „მოდაშია“ (ხშირია, პოპულარულია) შეიძლება არ აღწერდეს ზოგად სტილს, ისე როგორც შერჩევაში მოდა ახასიათებს მის მცირე ნაწილს.

საშუალოს შერჩევით რიცხვით საზომებს სხვადასხვა თვისებები გააჩნიათ და მათი გამოყენება დაკავშირებულია კონკრეტულ ამოცანასთან. გარდა ამისა, ამ საზომებს შერჩევის ელემენტების მიმართ გააჩნიათ განსხვავებული მგრძნობელობა. მაგალითად, თუ შერჩევის რომელიმე ელემენტის მნიშვნელობა ძალიან არის განსხვავებული დანარცენი ელემენტების მიშვნელობებისგან, მაშინ ამ ფაქტზე შერჩევითი საშუალო რეაგირებს ძლიერ, ხოლო მოდა და მედიანა მცირედ ან საერთოდ არა.

შერჩევითი მოდა განსაკუთრებით მნიშვნელოვან მარკეტინგულ ინფორმაციას შეიცავს, მაგალითად, სხვადასხვა საქონლის წარმოებელი ფირმებისა და კომპანიებისთვის, აგრეთვე სუპერმარკეტებისა და ზოგადად მაღაზიების მფლობელებისთვის. ტანსაცმლისმაღაზის მფლობელისთვის საინტერესოა იცოდეს კონკრეტული ჩასაცმელის ყველაზე უფრო გავრცელებული ზომები, მწარმოებელმა უნდა იცოდეს ყველაზე უფრო გაყიდვადი პროდუქცია და სხვა.

რაც შეეხება შერჩევითი საშუალოს, განვიხილოთ, მაგალითად, დიდი კომპანიის თანამშრომელთა ნაწილის – n დასაქმებულის ხელფასები: $x = x_1, \dots, x_n$. ცხადია,

მათი ჯამური ხელფასია $P = x_1 + \dots + x_n$. მაშინ ერთი დასაქმებულის საშუალო ხელფასია $\frac{P}{n}$; ეს იმას ნიშნავს, რომ ყველა დასაქმებულის ტოლი ხელფასის შემთხვევაში, ერთ დასაქმებულს ექნებოდა $\frac{P}{n}$ ხელფასი. მეორეს მხრივ, თუ ჩვენთვის ცნობილია საშუალო ხელფასი M , მაშინ ჯამური ხელფასია $P = nM$. შერჩევითი საშუალოს განმარტების მიხედვით ეს ფაქტები შეიძლება ასე ჩავწეროთ

$$n\bar{x} = nM = P = \sum_{i=1}^n x_i. \quad (1.6)$$

მაგალითი 1.4. სოციალური მომსახურების სააგენტოს 2010 წლის სტატისტიკური მონაცემების მიხედვით ოჯახების რაოდენობა (ათასებში), რომელიც საარსებო შემწეობას იღებდა 2006-2010 წლების განმავლობაში შემდეგია ოთხწევრიანი ოჯახებისთვის

$$x = 9, 14, 17, 19, 19.$$

გამოვთვალოთ საშუალო, მოდა და მედიანა.

1) საშუალო

$$\bar{x} = \frac{1}{5}(9+14+17+19+19) = \frac{78}{5} = 15,6.$$

2) მონაცემთა თანახმად მოდა არის 19.

3) მედიანის გამოსათვლელიად ვისარგებლოთ (1.5) ფორმულით. რადგან $n=5$ არის კენტი, ამიტომ გვექნება

$$\tilde{x} = x_{\frac{n+1}{2}} = x_{\frac{5+1}{2}} = x_3 = 17.$$

ბოლოს შევნიშნავთ, რომ განხილულ მაგალითში X პოპულაცია წარმოადგენს საარსებო შემწეობის მიმდები თჯახების მთლიან რაოდენობას, საიდანაც შერჩევის სახით აღებულია ოთხსულიანი თჯახების რაოდენობები გარკვეული წლების მიხედვით.

ბ) მონაცემთა გაფანტულობის რიცხვითი საზომები.

გაბნევის დიაპაზონი, დისპერსია, გარიაციის კოეფიციენტი,

პროცენტილი, კვარტილი, დეცილი, რანგი, პროცენტული, რანგი

განვიხილოთ რაიმე X პოპულაცია და $x = x_1, \dots, x_n$ შერჩევა – ვარიაციული მწერივი. წინა პუნქტში ჩვენ განვიხილეთ მონაცემთა საშუალო ყოფაქცევის (თვისების) რიცხვითი საზომები. მონაცემთა ცვლებადობის თვისების დასახასიათებლად განიხილება და შეისწავლება საშუალოდან მონაცემთა გაფანტულობის რიცხვითი საზომები. ჩვენ განვიხილავთ ზოგიერთ ძირითად საზომს.

1. მონაცემთა გაფანტულობის უმარტივესი რიცხვითი საზომია გაბნევის დიაპაზონი, რომელიც წარმოადგენს შერჩევის უდიდეს და უმარტივეს წევრებს შორის სხვაობას:

$$\text{გაბნევის დიაპაზონი} = x_{\max} - x_{\min}.$$

2. მონაცემთა საშუალოდან გაფანტულობის მნიშვნელოვან საზომს წარმოადგენს შერჩევითი დისპერსია და სტანდარტული გადახრა. შერჩევითი დისპერსია განიმარტება ტოლობით:

$$S_x^2 = \frac{1}{n} \sum_{i=1}^n (x_i - \bar{x})^2 = \frac{1}{n} \left[(x_1 - \bar{x})^2 + \dots + (x_n - \bar{x})^2 \right]. \quad (1.7)$$

შერჩევითი დისპერსიის ზოგიერთი ძირითადი თვისებაა:

1) $S_x^2 \geq 0$;

2) ოუ გვაქვს $x = x_1, \dots, x_n$ შერჩევა და შევქმნით ახალ

$$y = ax + b = (ax_1 + b), \dots, (ax_n + b)$$

შერჩევას, მაშინ

$$S_y^2 = \frac{1}{n} \sum_{i=1}^n (y_i - \bar{y})^2 = a^2 S_x^2, \quad (1.8)$$

3) ოუ გვაქვს ორი $x = x_1, \dots, x_n$ და $y = y_1, \dots, y_m$ შერჩევა, მაშინ გაერთიანებული

$x = x_1, \dots, x_n, y_1, \dots, y_m$ შერჩევის დისპერსია გამოითვლება ტოლობით

$$S_z^2 = \frac{n}{n+m} S_x^2 + \frac{m}{n+m} S_y^2 + \frac{nm}{(n+m)^2} (\bar{x} - \bar{y})^2. \quad (1.9)$$

4) შერჩევითი დისპერსია შეიძლება გამოვთვალოთ აგრეთვე შემდეგი ფორმულით

$$S_x^2 = \frac{1}{n} \sum_{i=1}^n x_i^2 - \left(\frac{1}{n} \sum_{i=1}^n x_i \right)^2 = \overline{(x^2)} - \overline{(x)}^2. \quad (1.10)$$

შერჩევითი დისპერსიიდან დადებით კვადრატულ ფესვს

$$S_x = +\sqrt{S^2} \quad (1.11)$$

სტანდარტული გადახრა ეწოდება.

ხშირად საჭიროა აგრეთვე ე. წ. შესწორებული (მოდიფიცირებული) შერჩევითი დისპერსიისა და სტანდარტული გადახრის გამოყენება. ეს საზომები განიმარტება ტოლობებით:

$$\bar{S}_x^2 = \frac{1}{n-1} \sum_{i=1}^n (x_i - \bar{x})^2, \quad \bar{S}_x = +\sqrt{\bar{S}_x^2}. \quad (1.12)$$

3. შერჩევითი გარიაციის კოეფიციენტი.ის განიმარტება ტოლობით

$$CV = \frac{S_x}{\bar{x}}. \quad (1.13)$$

გარიაციის კოეფიციენტი ზომავს საშუალოს ერთეულზე სტანდარტული გადახრის მნიშვნელობას. ის ხშირად გამოიყენება ფირმებისა და კომპანიების პროდუქციის გაყიდვების მიხედვით რისკის დონის შეფასების დროს და სხვა.

4. პროცენტილი, კვარტილი, დეცილი.ეს სიდიდეები წარმოადგენს ერთდროულად მონაცემთა განლაგებისა დაგაფანტულობის საზომებს.

1) განვიხილოთისეთი p რიცხვი, რომელსაც აქვს შემდეგი სახე: $p = 100\alpha$, სადაც $0 < \alpha < 1$. თუ გვაქვს n მოცულობის $x = x_1, \dots, x_n$ შერჩევა, მაშინ მონაცემთა p რიგის პროცენტილი (p პროცენტილი) განიმარტება ტოლობით:

$$\tilde{x}_p = \begin{cases} x_{[n\alpha]+1}, & \text{თუ } n\alpha \text{ მთელი არ არის,} \\ \frac{x_{n\alpha} + x_{n\alpha+1}}{2}, & \text{თუ } n\alpha \text{ მთელია,} \end{cases} \quad (1.14)$$

სადაც $[a]$ აღნიშნავს a რიცხვის მთელ ნაწილს, მაგალითად, $[4,8] = 4$.

შევნიშნავთ, რომ 50-პროცენტილი მედიანის ტოლია, ე. ი. გვაქვს $\tilde{x}_{50} = \tilde{x}$.

2) კვარტილებიგანიმარტება შემდეგნაირად. სულ გვაქვს სამი კვარტილი, ესენია

$$Q_1 = 25 - \text{პროცენტილი} - \text{პირველი კვარტილი},$$

$$\tilde{x} = Q_2 = 50 - \text{პროცენტილი} - \text{მეორე კვარტილი} (\text{მედიან}),$$

$$Q_3 = 75 - \text{პროცენტილი} - \text{მესამე კვარტილი}.$$

განიხილება აგრეთვე კვარტილთშორის გაბნევის დიაპაზონი:

$$IQR = Q_3 - Q_1. \quad (1.15)$$

შევნიშნავთ, რომ კვარტილებს შორის წევრთა რაოდენობა გაფანტულობის მარტივი საზომია და ახასიათებს ვარიაციულ მწკრივში კვარტილებს შორის მოთავსებულ მონაცემთა გაფანტულობის ხარისხს.

3) დეცილები განიმარტება პროცენტილებით შემდეგნაირად:

$$10 - \text{პროცენტილი} = \text{პირველი დეცილი}, D_1,$$

$$20 - \text{პროცენტილი} = \text{მეორე დეცილი}, D_2$$

და ა. შ. ხშირად სიხშირეთა განაწილების შესახებ სრული ინფორმაციის მისაღებად განიხილება სიდიდეები:

$$x_{\min}, D_1, Q_1, \tilde{x}, Q_3, D_9, x_{\max}.$$

5. რანგი და პროცენტული რანგი.განვიხილოთ რაიმე n მოცულობის შერჩევა. შერჩევის წევრის რანგი ეწოდება მის რიგით ნომერს ვარიაციულ მწკრივში. ტოლი წევრების შემთხვევაში წევრის რანგია ტოლი წევრების რანგების საშუალო არითმეტიკული. რანგი აღინიშნება r -ით, ხოლო წევრის p პროცენტული რანგი განიმარტება ტოლობით

$$p = \frac{2r-1}{2n} \cdot 100\%. \quad (1.16)$$

თავალითი 1.5. განვიხილოთ მაგალითი 1.4.-ის მონაცემები და გამოვთვალოთ გაფანტულობის ზოგიერთი საზომი. გვაქვს $x = 9, 14, 17, 19, 19$.

1) გაბნევის დიაპაზონი $= 19 - 9 = 10$;

2) შერჩევითი დისპერსია. ჩვენ გამოთვლილი გვაქვს $\bar{x} = 16$. მაშინ გვექნება:

$$\begin{aligned} S_x^2 &= \frac{1}{5} \sum_{i=1}^5 (x_i - 16)^2 = \frac{1}{5} \left[(9-16)^2 + (14-16)^2 + (17-16)^2 + (19-16)^2 + (19-16)^2 \right] = \\ &= \frac{1}{5} (49+4+1+9+9) = \frac{72}{5} = 14.4 \end{aligned}$$

3) 50-პროცენტილი. გვაქვს $50 = 100\alpha$, $\alpha = \frac{1}{2}$, $n = 5$, $n\alpha = 5 \cdot \frac{1}{2} = 2.5$ არ არის მთელი რიცხვი. ამიტომ ვისარგებლოთ (1.14) ფორმულის ზედა ნაწილით. გვექნება

$$\tilde{x}_{50} = x_{[n\alpha]+1} = x_{[2.5]+1} = x_{2+1} = x_3 = 17.$$

როგორც ვხედავთ 50-პროცენტილი დაქმთხვა ადრე გამოთვლილი მედიანის მნიშვნელობას და გვაქვს $\tilde{x}_{50} = \tilde{x}$.

4) გამოვთვალოთ 19-ის რანგი და პროცენტული რანგი. გვექნება:

$$r = \frac{4+5}{2} = 4,5;$$

$$p = \frac{2r-1}{2n} \cdot 100\% = \frac{9-1}{10} \cdot 100\% = 40\%.$$

გ) შერჩევითი კოვარიაციის, კორელაციისა და დეტერმინაციის კოეფიციენტები

სტატისტიკურ კვლევაში, საზოგადოდ, და, კერძოდ, მარკეტინგულ კვლევაში ხშირად არის საჭირო ორ (ან რამდენიმე) მახასიათებელს შორის კავშირის შესწავლა. ასეთ შემთხვევაში განიხილება რაიმე ორი X და Y პოპულაცია და ამ პოპულაციების ნაწილებზე ერთდროული დაკვირვებების წყვილების შერჩევითი მონაცემები:

$$(x, y) = (x_1, y_1), \dots, (x_n, y_n). \quad (1.17)$$

მარკეტოლოგსაინტერესებს X და Y ცვლადებს შორის დამოკიდებულების სიძლიერის ხარისხის შეფასება. როგორც წესი თეორიული დამოკიდებულების ფორმა ცვლადებს შორის უცნობია. მარკეტოლს აინტერესებს, მაგალითად, რა სიძლიერის კავშირია ფირმის რეკლამაზე დახარჯული თანხის რაოდენობასა და შემოსავლებს შორის, რაიმე ახალი პროდუქციის გამოშვებასა და შემოსავლებს შორის, ინფლაციასა და მომხმარებელთა ქცევას შორის და სხვა. რაც შეეხება ცვლადებს შორის დამოკიდებულების ფორმას, შეისწავლება წრფივი და არაწრფივი მოდელები. წრფივი მოდელის შემთხვევაში $y = ax + b$. ცვლადებს შორის ურთიერთკავშირის სიძლიერის რიცხვით საზომებს წარმოადგენს შერჩევითი კოვარიაციის, კორელაციისა და დეტერმინაციის კოეფიციენტები. მათი საშუალებით იზომება Y -ის X -ზე წრფივი დამოკიდებულების სიძლიერე. ამისათვის კი აუცილებელია გვქონდეს (1.17) შერჩევა.

1. შერჩევითი კოვარიაციის კოეფიციენტი განიმარტება ტოლობით:

$$\text{cov}(x, y) = \frac{1}{n} \sum_{i=1}^n (x_i - \bar{x})(y_i - \bar{y}), \quad (1.18)$$

სადაც

$$\bar{x} = \frac{1}{n} \sum_{i=1}^n x_i, \quad \bar{y} = \frac{1}{n} \sum_{i=1}^n y_i.$$

ხშირად კოვარიაციის კოეფიციენტის გამოსათვლელად გამოიყენება შემდეგი გამარტივებული ფორმულა:

$$\text{cov}(x, y) = \frac{1}{n} \sum_{i=1}^n x_i y_i - \bar{x} \bar{y}. \quad (1.19)$$

2. შერჩევითი კორელაციის კოეფიციენტი განიმარტება ტოლობით:

$$r = \frac{\text{cov}(x, y)}{S_x \cdot S_y},$$

სადაც

$$S_x = \sqrt{\frac{1}{n} \sum_{i=1}^n (x_i - \bar{x})^2}, \quad S_y = \sqrt{\sum_{i=1}^n (y_i - \bar{y})^2}.$$

ამრიგად, გვაქვს r -ის გამოსათვლელი შემდეგი ფორმულა:

$$r = \frac{\sum_{i=1}^n (x_i - \bar{x})(y_i - \bar{y})}{\sqrt{\sum_{i=1}^n (x_i - \bar{x})^2} \sqrt{\sum_{i=1}^n (y_i - \bar{y})^2}}. \quad (1.20)$$

ხშირად კორელაციის კოეფიციენტის გამოსათვლელად იყენებენ შემდეგ ფორმულას:

$$r = \frac{1}{n} \sum_{i=1}^n \left(\frac{x_i - \bar{x}}{S_x} \right) \left(\frac{y_i - \bar{y}}{S_y} \right). \quad (1.21)$$

კორელაციის კოეფიციენტი ზომავს ცვლადებს შორის $y = ax + b$ წრფივი დამოკიდებულების სიძლიერეს. კორელაციის კოეფიციენტის მნიშვნელობების მიხედვით მიღებულია სიძლიერის სიტყვიერი დახასიათების შემდეგი ტერმინოლოგია: წინასწარ შევნიშნავთ, რომ კორელაციის კოეფიციენტის მნიშვნელობები იცვლება -1 -დან $+1$ -მდე მათი ჩათვლით: $-1 \leq r \leq 1$. გვაქვს შემდეგი დახასიათება:


- 1) $r = -1$ – სრულყოფილი უარყოფითი კორელაცია;
- 2) $-1 < r < -0,5$ – ძლიერი უარყოფითი კორელაცია;
- 3) $r = -0,5$ – საშუალო უარყოფითი კორელაცია;
- 4) $-0,5 < r < 0$ – სუსტი უარყოფითი კორელაცია;
- 5) $r = 0$ – კორელაცია არ არის;
- 6) $0 < r < 0,5$ – სუსტი დადებითი კორელაცია;
- 7) $r = 0,5$ – საშუალო დადებითი კორელაცია;
- 8) $0,5 < r < 1$ – ძლიერი დადებითი კორელაცია;
- 9) $r = 1$ – სრულყოფილი დადებითი კორელაცია.

ხშირად სტატისტიკოსები (1.17) შერჩევის საშუალებით აგებენ ე.წ. მონაცემთა გაბნევის დიაგრამას და წრფეებს ატარებენ წრფივი კავშირის სიძლიერის დასახასიათებლად. გაბნევის დიაგრამა წერტილთა ერთობლიობასიბრტყებუ (x_i, y_i) , $i = 1, \dots, n$, კოორდინატებით. მაგალითად, სიძლიერის დახასიათების, 1), 2), 8) და 9) პუნქტების, შემთხვევაში გვექნება 1.20, 1.21, 1.22 და 1.23 ნახაზები.


ახლა განვმარტოთ დეტერმინაციის კოეფიციენტი. ის არის შერჩევითი კორელაციის კოეფიციენტის კვადრატი:

$$R^2 = R^2(x, y) = r^2(x, y) = r^2. \quad (1.22)$$


საინტერესოა აღვნიშნოთ დეტერმინაციის კოეფიციენტის შინაარსი. ის საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ y -ის ცვალებადობის რამდენი პროცენტის ახსნის საშუალებას იძლევა x ცვლადი.




ნახაზი 1.20. სრულყოფილი უარყოფითი კორელაცია



ნახაზი 1.21. ძლიერი უარყოფითი კორელაცია



ნახაზი 1.22. სრულყოფილი დადებითი კორელაცია



ნახაზი 1.23. ძლიერი დადებითი კორელაცია

მაგალითი 1.6. განვიხილოთ 2003-2012 წლების პერიოდში საქსტატის მონაცემები წლიური ინფლაციის (სამომხმარებლო ფასების ინდექსის პროცენტული ცვლილები თვეების მიხედვით წინა წლის შესაბამის თვეებთან პროცენტებში) – x ცვლადი, და სოციალური მომსახურების სააგენტოს მონაცემები ნომინალური ხელფასის შესახებ განათლების სფეროში – y ცვლადისჩვენი ამოცანაა შევისწავლოთ რა სიძლიერის ხარისხის გავლენას ახდენს x ცვლადი y ცვლადზე. მონაცემები მოტანილია ერთის სიზუსტით. სიძლიერის ხარისხის შესაფასებლად გამოვ-

თვალოთ კორელაციის $r = r(x, y)$ კოეფიციენტი. წლების მიხედვით მონაცემები შემდეგია (იხ. ცხრილი 1.8):

ცხრილი 1.8

ინფლაცია და ხელფასი

წლები	2003	2004	2005	2006	2007	2008	2009	2010	2011	2012
ინფლაცია	4	6	8	9	9	9	2	7	8	-1
ხელფასი	69	89	93	122	153	244	270	305	320	355

გამოვთვალოთ შერჩევითი კორელაციის კოეფიციენტი. გვაქვს:

$$1) \quad \bar{x} = \frac{1}{10} \sum_{i=1}^{10} x_i = \frac{1}{10} (4+6+8+9+9+9+2+7+8-1) = \frac{61}{10} = 6,1.$$

$$2) \quad \bar{y} = \frac{1}{10} \sum_{i=1}^{10} y_i = \frac{1}{10} (69+89+93+122+153+244+270+305+320+355) = \frac{2020}{10} = 202.$$

$$3) \quad \sum_{i=1}^{10} (x_i - 6)(y_i - 202) = (4-6)(69-202) + (6-6)(89-202) + (8-6)(93-202) + \\ + (9-6)(122-202) + (9-6)(153-202) + (9-6)(244-202) + (2-6)(270-202) + \\ + (7-6)(305-202) + (8-6)(320-202) + (-1-6)(355-202) = \\ = 2 \cdot 133 + 0 - 2 \cdot 113 - 3 \cdot 80 - 3 \cdot 49 + 3 \cdot 42 - 4 \cdot 68 + 1 \cdot 103 + 2 \cdot 118 - 5 \cdot 153 = \\ = 266 - 226 - 240 - 147 + 126 - 272 + 103 + 236 - 765 = -919,$$

$$4) \quad \sum_{i=1}^{10} (x_i - \bar{x})^2 = 2^2 + 0 + 2^2 + 3^2 + 3^2 + 3^2 + 4^2 + 1^2 + 2^2 + 5^2 = \\ = 4 + 4 + 9 + 9 + 9 + 16 + 1 + 4 + 25 = 81,$$

$$5) \quad \sum_{i=1}^{10} (y_i - \bar{y})^2 = 133^2 + 0 + 113^2 + 80^2 + 49^2 + 42^2 + 68^2 + 103^2 + 118^2 + 153^2 = \\ = 17689 + 17689 + 6400 + 2401 + 1764 + 4624 + 10609 + 13924 + 23409 = 98509.$$

(1.20) ფორმულის თანახმად გვაქვს:

$$r = -\frac{919}{9 \cdot 314} = -\frac{919}{2829} = -0,33.$$

ამრიგად, კორელაციის კოეფიციენტების ტერმინებში შეგვიძლია ჩამოვაყალიბოთ ინფლაციასა და განათლების სფეროში დასაქმებულთა ხელფასს შორის კავშირის სიძლიერის შემდეგი შეფასება: ინფლაციასა და ხელფასს შორის არსებო-

ბის სუსტი უარყოფითი კორელაცია. სხვანაირად რომ ვთქვათ, ინფლაციის ზრდა (კლება) იწვევს ხელფასის სუსტად კლებას (ზრდას).

საინტერესოა შევნიშნოთ, რომ $R^2 = r^2 = 0,33^2 = 0,11$ დეტერმინაციის კოეფიციენტია; რაც ნიშნავს შემდეგს: ინფლაცია იძლევა ხელფასის ცვალებადობის მხოლოდ 11% -ის ახსნის საშუალებას (მხოლოდ 11% -ზე ახდეს გაგლენას) და არსებობს სხვა ფაქტორები, რომელიც მოქმედებს ხელფასის ცვლებადობაზე, რომელთა საერთო წილი 89% -ის ტოლია.

1.5. მარკეტინგული პოლიტიკის მეთოდიკა

სადისერტაციო ნაშრომში ჩატარებული მარკეტინგული კვლევა ეყრდნობა ანკეტების გამოყენებას. ანკეტები შედგენილია სადისერტაციო ოქმის: „საქართველოს სამომხმარებლო ბაზარზე მარკეტინგის გამოყენების ეფექტიანობის შეფასება“ გამოსაკვლევი პრობლემატიკის გათვალისწინებით. ჯამში შედგენილია სხვადასხვა სახის ოცდაათი ანკეტა. ამათგან კვლევის პროცესში ვერ მოხერხდა რამდენიმე სახის ანკეტის (ანკეტები №16–21) გამოყენება სავალე სამუშაოებში სხვადასხვა სუბიექტური თუ ობიექტური მიზეზების გამო. ამ სამუშაოს ჩატარებას ვაპირებთ მომავალში.

რესპონდენტთა საერთო რიცხვი, რომელთა პასუხები გამოყენებულია ჩვენ მიერ ჩატარებულ მარკეტინგულ კვლევაში 2115-ის ტოლია. აქვე შევნიშნავთ, რომ 635რესპონდენტის შემდეგი სახის პასუხები: „არ ვიცი“, „არ მაინტერესებს“, „არ მიფიქრია“, „არ მაქვს პასუხის სურვილი“, „არ მაქვს დრო“, „არ მცალია“ და სხვა, მარკეტინგულ კვლევაში გასაგები მიზეზების გამო არ იქნა გამოყენებული. ასეთი ანკეტები ანკეტების საერთო რაოდენობის დაახლოებით 23% აღმოჩნდა.

რესპონდენტთა გამოკითხვა ტარდებოდა დაახლოებით ორნახევარი წლის განმავლობაში: 2012 წელი – 2014 წლის ზაფხული. სავალე სამუშაოები, ძირითადად, ქალაქ თბილისის სხვადასხვა სავაჭრო დაწესებულებაში ჩატარდა, მაგალითად, „გუდვილში“, „სავაჭრო ცენტრი“, „ვუდმარტი“, „სუპერმარკეტი“ და სხვა სახის სავაჭრო ცენტრებში. მცირე მარკეტინგული ინფორმაცია აღებულია აგრეთვე, მაგალითად, ქობულეთში, მარნეულში და სხვაგან (პროდუქტების ფასებთან დაკავშირებით). რესპონდენტების მიმართ გამოკითხულია როგორც უშუალოდ პროდუქტის გამყიდვები, ასევე მყიდვები – მომხმარებელი. ზოგიერთ ანკეტაში ინფორმაცია

ნაწილობრივ მიღებულია თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტებისგან, რომელთაც გარკვეული რაოდენობის ანკეტები ჰქონდათ დარიგებული.

საქართველოში სამომხმარებლო ბაზრის საბანკო სფეროს და ფასიანი ქადალ-დების მიმართ მომხმარებელთა დამოკიდებულების მარკეტინგული კვლევის მიზნით გამოკითხულია ოთხი წამყვანი ბანკის: ბანკი რესპუბლიკა, საქართველოს ბანკი, თიბისი ბანკი და ლიბერტი ბანკი, მომსახურების მომხმარებელი – რესპონდენტი.

საქართველო XX საუკუნის ბოლოს დაადგა საბაზრო ეკონომიკის განვითარების გზას. ამან კიდევ უფრო გაზარდა, ზოგადად, ეკონომიკაში და ბიზნესში მარკეტინგული კვლევების როლი. ერთ-ერთი მთავარი საკითხი სურსათის პრობლემა, პროდუქტების ფასები, ინფლაციური პროცესები და სხვა მაჩვენებლები, რომელიც ერთმანეთთან მჭიდრო კავშირშია და დიდ გავლენას ახდენს ქვეყნის ეკონომიკურ, სოციალურ და პოლიტიკურ მდგომარეობაზე.

ამასთან დაკავშირებით გვინდა მოკლედ შევეხოთ სადისერტაციო ნაშრომში ჩატარებული მარკეტინგული კვლევის ზოგიერთ მიმართულებას, რომელიც მოიცავს შემდეგს:

- მარკეტინგული კვლევის მეთოდოლოგია და მისი სტატისტიკური ასპექტები.
- მარკეტინგულ კვლევაში აღწერითი სტატისტიკისა და სტატისტიკური დასკვნების თეორიის გამოყენება საქართველოს სამომხმარებლო ბაზრის ზოგიერთი მონაცემის მაგალითზე.
- მინიმალური სასურსათო კალათის პროდუქტების ფასების, დღიური ნორმებისა და ენერგეტიკული ღირებულებების მარკეტინგული კვლევა.
- ინფლაციური პროცესის ავტორეგრესიული მოდელის აგება და მისი გამოყენება საქართველოში ფასების ინდექსის პროგნოზირებაში.
- კორელაციური და რეგრესიული ანალიზის, აგრეთვე ANOVA-ს გამოყენება საქართველოს სამომხმარებლო ბაზრის ზოგიერთი მონაცემის მარკეტინგულ კვლევაში.
- საბანკო ოპერაციების მიმართ მომხმარებელთა ქცევის მარკეტინგულ კვლევაში ANOVA-ს გამოყენება.
- ერთპრედიქტორიანი და მრავალპრედიქტორიანი რეგრესიული მოდელების ურთიერთკავშირის თეორიული გამოკვლევა და რიცხვითი მაგალითები.

- სხვადასხვა პროდუქტებსა და საქონელზე, მაგალითად, თამბაქოზე, ფასების მიმართ მომხმარებელთა ქცევის მარკეტინგული კვლევა.

გარდა ანკეტების საშუალებით მიღებული მარკეტინგული ინფორმაციისა, გამოყენებულია აგრეთვე საქსტატისა და სოციალური მომსახურების საგენტოს „სოციალური სტატისტიკა“, თბილისი, 2010 წლის მონაცემები.

შევნიშნავთ, რომ ჩვენ მიერ ჩატარებული მარკეტინგული კვლევის დროს რეალურ გამოთვლებში გამოყენებულია მოპოვებული მონაცემების გასაშუალოებული მნიშვნელობები.

ბოლოს მოკლედ შევეხებით ყოველი ანკეტის შინაარსსა და დანიშნულებას.

ჩვენს ერთ-ერთ ინტერესს წარმოადგენდა იმის გარკვევა, სურთ თუ არა მომხმარებლებს მინიმალურ სასურსათო კალათაში შეტანილი 40 დასახელების პროდუქტის გარდა კიდევ დამატებით პროდუქტების შეტანა. ამ თვალსაზრისით სამომხმარებლო კალათიდან შერჩეული იქნა 30 დასახელების პროდუქტი, რომელთა სკალირება მოხდა მათი რიგითი ნომრების მიხედვით სამ ჯგუფად, ყოველ ჯგუფში ათი პროდუქტი. რესპონდენტს უნდა მიენიჭებინა ქულები შემდეგი წესით ყოველი ჯგუფის პროდუქტებისთვის: ყველაზე რეიტინგულს – 1 ქულა და ა. შ. ყველაზე ნაკლებ რეიტინგულს – 10 ქულა.

ა 6 კ ე ტ ა № 1. მოტანილია მომხმარებელთა მიერ პირველი ჯგუფის ათი პროდუქტისთვის მინიჭებული რეიტინგული ქულები. ჯამში შევსებულია 100 ანკეტა.

ა 6 კ ე ტ ა № 2. მოტანილია მომხმარებელთა მიერ მეორე ჯგუფის ათი პროდუქტისთვის მინიჭებული რეიტინგული ქულები. ჯამში შევსებულია 86 ანკეტა.

ა 6 კ ე ტ ა № 3. მოტანილია მომხმარებელთა მიერ მესამე ჯგუფის ათი პროდუქტისთვის მინიჭებული რეიტინგული ქულები. ჯამში შევსებულია 86 ანკეტა.

ამ სამი ანკეტის ინფორმაციის მარკეტინგული კვლევის შედეგად დადგინდა იმ ათი ყველაზე უფრო რეიტინგული პროდუქტის დასახელება, რომელთა შეტანას მინიმალური სასურსათო კალათის შემადგენლობაში ისურვებდა მომხმარებელი.

მინიმალური სასურსათო კალათის შემადგენლობაში შემავალი 40 პროდუქტის ფასებისა და დღიური ნორმების შესახებ მომხმარებელთა ქცევის მარკეტინგული კვლევის თვალსაზრისით მოხდა სკალირება ოთხ ჯგუფად პროდუქტების რიგითი ნომრების მიხედვით. მომხმარებელთა მიერ შემოთავაზებული ფასებისა და დღიური ნორმების გათვალისწინებით ჩატარდა თვითონ მინიმალური სასურსათო კალათის

ლირებულების შეფასება და აგრეთვე კალათის პარამეტრების – ენერგეტიკული დი-რებულებების შეფასება.

ა ნ კ ე ტ ა № 4. მოტანილია პირველი ჯგუფის ათი პროდუქტისთვის ფასებისა და დღიური ნორმების შესახებ მომხმარებელთა მიერ შემოთავაზებული მნიშვნე-ლობები. ჯამში შევსებულია 60 რესპონდენტის პასუხი.

ა ნ კ ე ტ ა № 5. მოტანილია მეორე ჯგუფის ათი პროდუქტისთვის ფასებისა და დღიური ნორმების შესახებ მომხმარებელთა მიერ შემოთავაზებული მნიშვნელობე-ბი. ჯამში შევსებულია 62 რესპონდენტის პასუხი.

ა ნ კ ე ტ ა № 6. მოტანილია მესამე ჯგუფის ათი პროდუქტისთვის ფასებისა და დღიური ნორმების შესახებ მომხმარებელთა მიერ შემოთავაზებული მნიშვნელობე-ბი. ჯამში შევსებულია 62 რესპონდენტის პასუხი.

ა ნ კ ე ტ ა № 7. მოტანილია მეოთხე ჯგუფის ათი პროდუქტისთვის ფასებისა და დღიური ნორმების შესახებ მომხმარებელთა მიერ შემოთავაზებული მნიშვნე-ლობები. ჯამში შევსებულია 60 რესპონდენტის პასუხი.

ჩვენს ერთ-ერთ ინტერესს წარმოადგენდა მინიმალური სასურსათო კალათის ლირებულების შეფასება პროდუქტების მიმდინარე რეალური ფასებისა და დღიური ნორმების გათვალისწინებით. ამ თვალსაზრისით ჩავატარეთ მარკეტინგული კვლე-ვა შემდეგნაირად: მოვახდინეთ 40 პროდუქტის სკალირება რიგითი ნომრების მი-ხედვით რვა ჯგუფად და ჩავატარეთ რესპონდენტთა გამოკითხვა ჯგუფების მიხედ-ვით. ამ მონაცემების საფუძველზე შევაფასეთ მინიმალური სასურსათო კალათის მიმდინარე ლირებულება.

ა ნ კ ე ტ ა № 8. მოტანილია პირველი ჯგუფის ხუთი პროდუქტის ერთი კილოგ-რამის მიმდინარე ფასი. ჯამში შევსებულია 84 რესპონდენტის პასუხი.

ა ნ კ ე ტ ა № 9. მოტანილია მეორე ჯგუფის ხუთი პროდუქტის ერთი კილოგრა-მის მიმდინარე ფასი. ჯამში შევსებულია 84 რესპონდენტის პასუხი.

ა ნ კ ე ტ ა № 10. მოტანილია მესამე ჯგუფის ხუთი პროდუქტის ერთი კილოგ-რამის მიმდინარე ფასი. ჯამში შევსებულია 84 რესპონდენტის პასუხი.

ა ნ კ ე ტ ა № 11. მოტანილია მეოთხე ჯგუფის ხუთი პროდუქტის ერთი კილოგ-რამის მიმდინარე ფასი. ჯამში შევსებულია 84 რესპონდენტის პასუხი.

ა ნ კ ე ტ ა № 12. მოტანილია მეხუთე ჯგუფის ხუთი პროდუქტის ერთი კილოგრამის მიმდინარე ფასი. ჯამში შევსებულია 84 რესპონდენტის პასუხი.

ა ნ კ ე ტ ა № 13. მოტანილია მეექვსე ჯგუფის ხუთი პროდუქტის ერთი კილოგრამის მიმდინარე ფასი. ჯამში შევსებულია 84 რესპონდენტის პასუხი.

ა ნ კ ე ტ ა № 14. მოტანილია მეშვიდე ჯგუფის ხუთი პროდუქტის ერთი კილოგრამის მიმდინარე ფასი. ჯამში შევსებულია 84 რესპონდენტის პასუხი.

ა ნ კ ე ტ ა № 15. მოტანილია მერვე ჯგუფის ხუთი პროდუქტის ერთი კილოგრამის მიმდინარე ფასი. ჯამში შევსებულია 84 რესპონდენტის პასუხი.

კვლევის პერიოდში ერთ-ერთ ინტერესს წარმოადგენდა ოჯახების პოპულაციის შესწავლა სულადობის, დასაქმების, შემოსავლის რაოდენობის შესახებ. გვაინტერესებდა აგრეთვე შეგვესწავლა, თუ რამდენად არის მომხმარებელი გათვითცნობიერებული მინიმალური სასურსათო კალათისა და სამომხმარებლო კალათის შემადგენლობის, პროდუქტებისა და საქონლის ფასების მიმართ, როგორია მათი დამოკიდებულება ამ სიღიდვების ცვლილებების მიმართ. სურთ თუ არა, რომ პერიოდულად იყოს ინფორმაცია რადიოში, ტელევიზიასა და პრესაში კალათების შესახებ და სურთ თუ არა მომხმარებლებს მონაწილეობა მიიღონ კალათების შემადგენლობის ცვლილებებში, ფასების დადგენაში. ამ მიზნით შედგენილი გვაქვს ექვსი სხვადასხვა სახის ანკეტა (ანკეტები № 16–21), რომელთა გამოყენებით სავაჭროები არ ჩაგვიტარებია და ვაპირებთ ამის გაკეთებას მომავალში.

საქართველოს სამომხმარებლო ბაზრის საბანკო სფეროს მარკეტინგული კვლევის მიზნით ჩვენს მიერ შედგენილია შვიდი სხვადასხვა სახის ანკეტა (ანკეტები № 22–28). ამ ანკეტებით მიღებული ინფორმაციის საშუალებით შევისწავლეთ, თუ როგორ არის განაწილებული მომხმარებელთა საშუალო რაოდენობები ძირითადი საბანკო ოპერაციების და ოთხი ვალუტის (ლარი, დოლარი, ევრო, რუბლი) მიმართ რესპონდენტები იყვნენ ბანკი რესპუბლიკის, საქართველოს ბანკის და თიბისი ბანკის მომხმარებლები. გარდა ამისა, აღნიშნული ბანკების და დამატებით ლიბერთი ბანკის მომხმარებელები, როგორც რესპონდენტები გამოკითხული იყო იმ მიზნით, თუ რამდენად არიან ისინი გათვითცნობიერებული ფასიანი ქაღალდების პრობლემატიკასა და მასთან დაკავშირებულ საკითხებში.

ა ნ კ ე ტ ა № 22. დასახელებულია ათი საბანკო ოპერაცია და ოთხი ვალუტა. რესპონდენტს უნდა აღენიშნა საბანკო ოპერაციისა და ვალუტის დასახელება. რესპონდენტები იყვნენ ბანკი რესპუბლიკის მომხმარებელები. შევსებულია 100 ანკეტა.

ა ნ კ ე ტ ა № 23. დასახელებულია ათი საბანკო ოპერაცია და ოთხი ვალუტა. რესპონდენტს უნდა აღენიშნა საბანკო ოპერაციისა და ვალუტის დასახელება. რესპონდენტები იყვნენ საქართველოს ბანკის მომხმარებელები. შევსებულია 100 ანკეტა.

ა ნ კ ე ტ ა № 24. დასახელებულია ათი საბანკო ოპერაცია და ოთხი ვალუტა. რესპონდენტს უნდა აღენიშნა საბანკო ოპერაციისა და ვალუტის დასახელება. რესპონდენტები იყვნენ თიბისი ბანკის მომხმარებელები. ჯამში შევსებულია 100 ანკეტა.

ა ნ კ ე ტ ა № 25. დასახელებულია ათი ფასიანი ქაღალდი. რესპონდენტს უნდა აღენიშნა რომელ ფასიან ქაღალდს იცნობს და სურს თუ არა ჰქონდეს ის. რესპონდენტები იყვნენ ბანკი რესპუბლიკის მომხმარებელები. შევსებულია 100 ანკეტა.

ა ნ კ ე ტ ა № 26. დასახელებულია ათი ფასიანი ქაღალდი. რესპონდენტს უნდა აღენიშნა რომელ ფასიან ქაღალდს იცნობს და სურს თუ არა ჰქონდეს ის. რესპონდენტები იყვნენ საქართველოს ბანკის მომხმარებელები. შევსებულია 100 ანკეტა.

ა ნ კ ე ტ ა № 27. დასახელებულია ათი ფასიანი ქაღალდი. რესპონდენტს უნდა აღენიშნა რომელ ფასიან ქაღალდს იცნობს და სურს თუ არა ჰქონდეს ის. რესპონდენტები იყვნენ თიბისი ბანკის მომხმარებელები. შევსებულია 100 ანკეტა.

ა ნ კ ე ტ ა № 28. დასახელებულია ათი ფასიანი ქაღალდი. რესპონდენტს უნდა აღენიშნა რომელ ფასიან ქაღალდს იცნობს და სურს თუ არა ჰქონდეს ის. რესპონდენტები იყვნენ ლიბერთი ბანკის მომხმარებელები. შევსებულია 100 ანკეტა.

ა ნ კ ე ტ ა № 29. დასახელებულია ათი უაღკოპლო გაზიანი სასმელი და მათი ხუთი მახასიათებელი. რესპონდენტს უნდა ეპასუხა, რომელ სასმელს და მის რომელ მახასიათებელს ანიჭებდა უპირატესობას. შევსებულია 177 ანკეტა.

ა ნ კ ე ტ ა № 30 (კითხვარი). ეს ანკეტა-კითხვარი, ფაქტობრივად, წარმოადგენს ათი სხვადასხვა შეკითხვის კრებულს უაღკოპლო გაზიანი სასმელების მიმართ მომხმარებელთა ქცევის შესახებ. პირადი ინტერვიუს მეთოდით გამოკითხები შეეხება რესპონდენტის სქესს, ოჯახურ მდგომარეობას, საქმიანობას, განათლებას, შემოსავალს, სასმელის მარკას, დალევის სისმირეს და სხვა. ჯამში დამუ-

შავებულია ორმოცდარვა ანგეტა ანუ ჩატარებულია მარკეტინგული გამოკვლევა 480 კითხვაზე გაცემული პასუხების მასალის გამოყენებით.

თ ა გ ი 2

საქართველოს სამომხმარებლო ბაზარზე მარკეტინგის გამოყენების ეფექტიანობის სტატისტიკური შეფასება

1.6. მარკეტინგული კვლევა მინიმალური სასურსათო კალათის კომპონენტების შეფასებაში

2.1.1. მინიმალური სასურსათო კალათის კომპონენტების რიცხვითი მახასიათებლები

განვიხილოთ მინიმალური სასურსათო კალათის რეკომენდებული შემადგენლობისა და დღიური ნორმის საქსტატის მონაცემები (იხ. ცხრილი 2.1).

ცხრილი 2.1

მინიმალური სასურსათო კალათის რეკომენდებული შემადგენლობა

№	პროდუქციის დასახელება	დღიური მოხმა- რება	ცილები, გ		ცხიმები, გ		ნახშირ- წყლები, გ	ენერგე- ტიკული ღირე- ბულება, კბალ
			ცხოველური	მცნარეული	ცხოველური	მცნარეული		
1	ხორბლის პური	250		20,5		3,2	117,2	579,6
2	ხორბლის ფეხილი	70		7,3		0,8	47,8	227,6
3	სიმინდის ფეხილი და სხვა	40		3,2		0,6	16,4	123,8
4	ლობიო	20		4,2		0,3	10,5	61,5
5	ბრინჯი	10		0,7		0,07	10,2	44,2
6	ბურღული (მანანის, წიწიბურას და სხვა)	10		1,0		2,3	6,4	50,3
7	მაკარონის ნაწარმი	15		1,5		0,2	10,3	49,0

8	ძროხის და ხბოს ხორცი	40	6,2		4,5			65,3
9	ღორის ხორცი	10	1,2		3,1			32,7
10	შინაური ფრინველი	20	2,0		2,1			26,9
11	თევზი ნედლი, გაყინული	40	3,3		0,2			15,0
12	ძეხვეული	10	1,3		2,6			28,6
13	რძე	150	4,2		4,9		6,9	88,5
14	მაწონი	25	0,6		0,7		0,9	12,3
15	ხაჭო	15	2,3		1,3		0,6	23,3
16	კველი	20	4,4		5,0			63,2
17	ნადუდი	5	0,4		0,5		0,1	6,5
18	კვერცხი (0,5 ცალი)	24	5,5		5,0			67,0
19	ცხოველური ცხიმი (კარაქი, ერბო)	12			9,1			81,9
20	მარგარინი	7			3,8	1,7		49,5
21	ზეთი მცენარეული	10				9,9		89,1
22	თესლოვანი ხილი	50		0,3		0,3	2,9	19,5
23	კურპოვანი ხილი	50		0,4		0,2	3,8	18,6
24	სუბტონპიკული ხილი, კარალიოკი	50		0,5			3,5	16,0
25	საზამთრო, ნესვი, გოგრა	50		0,1			3,2	13,2
26	კაკალი, თხილი, მზესუმზირა	15		2,9		8,9	1,3	96,9
27	პომიდორი	50		0,4			1,4	7,2
28	ხახვი	25		0,4			2,4	11,2
29	ნიორი	7		0,4			1,4	7,2
30	ბადრიჯანი	10		0,1			0,5	2,4
31	კომბოსტო	40		0,4			1,0	5,6
32	ჭარხალი	15		0,1			0,8	3,6
33	სტაფილო	15		0,1			1,0	4,4
34	კარტოფილი	150		2,0		3,5	17,3	80,4
35	შაქარი	50					49,9	199,6
36	მურაბები და ჯემები	5					2,1	8,4
37	საკონდიტრო ნაწარმი	5	0,0	0,25	0,3	0,3	3,5	20,7

			7					
38	ლვინო სამამულო	20						0,0
39	მარილი	8						0,0
40	ჩაი	2						0,0
	ჯამი		31, 5	46,8	43, 1	29,1	334,3	2300,0
			78,3		72,2			

ვთქვათ, გვაინტერესებს პროდუქტების საშუალო ენერგეტიკული ღირებულება დღეში, რომელიც აღვნიშნოთ ყ სიმბოლოთი, გვექნება

$$\begin{aligned}
 y &= \frac{1}{40} \sum_{i=1}^n x_i = \frac{1}{40} (x_1 + \dots + x_{40}) = \\
 &= \frac{1}{40} (579,6 + 227,6 + 123,8 + 61,5 + 44,2 + 50,3 + 49 + 65,3 + 32,7 + 26,9 + 15 + 28,6 + \\
 &+ 88,5 + 12,3 + 23,3 + 63,2 + 6,5 + 67 + 81,9 + 49,5 + 89,1 + 19,5 + 18,6 + 16 + 13,2 + 96,9 + 7,2 + \\
 &+ 11,2 + 7,2 + 2,4 + 5,6 + 3,6 + 4,4 + 80,4 + 199,6 + 8,4 + 207, + 0 + 0 + 0) = \frac{1}{40} \cdot 2300 = 57,5.
 \end{aligned}$$

ამრიგად, დღიური საშუალო ენერგეტიკული ღირებულებაა 57,5 კკალ. ანალოგიურად, მარტივად გამოვითვლით, რომ

1. ცხოველური ცილების საშუალო დღიური ნორმაა 0,8 გ;
2. მცენარეული ცილების საშუალო დღიური ნორმაა 12 გ;
3. ცხოველური ცხიმების საშუალო დღიური ნორმაა 1,1 გ;
4. მცენარეული ცხიმების საშუალო დღიური ნორმაა 0,7 გ;
5. ნახშირწყლების საშუალო დღიური ნორმაა 8,4 გ.

საინტერესოა გამოვთვალოთ აგრეთვე თითოეული პროდუქტის მოხმარების ნორმის ენერგეტიკული ღირებულების ხვედრითი წილი პროცენტებში დღიურიენერგეტიკული ღირებულების საერთო რაოდენობაში. გვექნება (იხ. ცხრილი 2.2)

ცხრილი 2.2

პროდუქტების ენერგეტიკული ღირებულება პროცენტებში

პროდუქტის №	1	2	3	4	5	6	7	8	9	10
პროცენტი	25	10	5	3	1,8	2,5	2,3	2,8	1,4	1,1
პროდუქტის №	11	12	13	14	15	16	17	18	19	20

პროცენტი	0,7	1,2	3,8	0,5	1	2,9	0,3	2,9	3,5	2,1
პროდუქტის №	21	22	23	24	25	26	27	28	29	30
პროცენტი	3,8	0,7	0,7	0,6	0,6	4,1	0,3	0,5	0,3	0,1
პროდუქტის №	31	32	33	34	35	36	37	38	39	40
პროცენტი	0,2	0,1	0,2	3,4	8,5	0,4	0,7	0	0	0

2.1.2. მინიმალური სასურსათო კალათის მიმდინარე ფასი

შემდეგი კვლევის მიზნით განვიხილოთ ელემენტარული მათემატიკური მოდელი, რომელსაც შემდეგი სახე აქვა:

$$y = a_0 + \sum_{i=1}^n a_i x_i = a_1 x_1 + \dots + a_n x_n, \quad (2.1)$$

სადაც x_i მოდელში შემავალი რაიმე ცვლადებია, a_i , $i = 0, 1, \dots, n$, მოდელის კოეფიციენტებია, ხოლო y არის ჩვენთვის საინტერესო რაიმე მახასიათებელი, რომელიც დამოკიდებულია x_i ცვლადებზე (2.1) მოდელის სახით, n არის რაიმე ფიქსირებული ნატურალური რიცხვი.

ახლა ჩამოვაყალიბოთ, (2.1) მოდელის გამოყენების საილუსტრაციოდ, მარკეტინგული პრობლემა. ვთქვათ, გვინდა ვიპოვოთ მინიმალური სასურსათო კალათის რეკომენდებული შემდგენლობის ფასი თვეში. საქსტატის კვლევაში მოტანილია: 40 პროდუქტის დასახელება, დღიური მოხმარების ნორმები, თითოეულ პროდუქტში ნორმების მიხედვით ცილების, ცხიმებისა და ნახშირწყლების შემცველი რაოდენობები გრამებში და აგრეთვე თითოეული პროდუქტის დღიური ენერგეტიკული ღირებულებაკილოკალორიებში (იხ. ცხრილი 2.1). ჩვენი მიზანია გამოვიკვლიოთ ყოველი პროდუქტის ერთეულის (ერთი კილოგრამის) ფასი, შემდეგ მისი საშუალებით ვიპოვოთ ყოველი პროდუქტის დღიური ნორმის ფასი, შემდეგ შევაჯამოთ დღიური ნორმების ფასები, მიღებული ჯამის მნიშვნელობა გავამრავლოთ ოცდათერთმეტზე, რაც მოგვცემს მინიმალური სასურსათო კალათის ღირებულებას თვეში.

ამრიგად, ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევა შედგება შემდეგი ნაბიჯებისგან.

ნაბიჯი 1.ჩავატარეთ რესპონდენტების უშუალო გამოკითხვა ქ. თბილისის ვაკესა და საბურთალოში „გუდვილის“, „პოპულის“, მაღაზიებში და, აგრეთვე, აგრარულ ბაზარზე კალათაში შემავალი პროდუქტების ფასების შესახებ.

კონკრეტული პროდუქტის ერთეულის ფასებში განსხვავების შემთხვევაში პროდუქტის ერთეულის ფასად აღებულია ფასების საშუალო (საშუალო არითმეტიკული). შედეგები მოტანილია ცხრილი 2.1-ის სვეტში: „კილოგრამის ფასი ლარებში“. ეს არის ჩვენ მიერ მარკეტინგული კვლევის პროცესში მიღებული პირველადი მარკეტინგული ინფორმაცია (მონაცემები).

ნაბიჯი 2.ამ ნაბიჯზე ყოველი პროდუქტის ნორმა კილოგრამებში გამრავლდა შესაბამის ფასზე. შედეგები მოტანილია ცხრილი 2.2-ის სვეტში: „დღიური ნორმის ფასი ლარებში“. ეს არის უკვე კვლევის პროცესში პირველადი ინფორმაციის გამოყენებით მიღებული მეორადი მარკეტინგული ინფორმაცია (მონაცემები). შევნიშნავთ, რომ ცხრილი 2.2-ის № 18 სტრიქონში კვერცხის დღიური ნორმის ფასად აღებულია კვერცხის ფასის ნახევარი.

ნაბიჯი 3.შევაჯამოთ ყველა პროდუქტის დღიური ნორმის ფასები, რაც მოგვცემს მინიმალური სასურსათო კალათის ღირებულებას დღეში.

ნაბიჯი 4.მესამე ნაბიჯის შედეგი გავამრავლოთ ოცდათერთმეტზე, რომლის შედეგი არის სწორედ მინიმალური სასურსათო კალათის ფასი თვეში.

კვლევის შედეგების ნაწილი მოტანილია ცხრილში 2.3.

ცხრილი 2.3

პროდუქტების ფასები და ნორმები

პროდუქტის №	1	2	3	4	5	6	7	8	9	10
ფასი	1,5	1,5	2	6	2	1,8	2	14	12	6
ნორმა კილოგრამებში	0,25	0,07	0,04	0,02	0,01	0,01	0,02	0,04	0,01	0,02
პროდუქტის №	11	12	13	14	15	16	17	18	19	20
ფასი	12	8	3	2	6	8	5	0,4	25	10
ნორმა კილოგრამებში	0,04	0,01	0,2	0,03	0,02	0,02	0,01	0,5	0,01	0,01
პროდუქტის №	21	22	23	24	25	26	27	28	29	30
ფასი	3,5	2	2	2	0,5	5	2	1	3	1
ნორმა კილოგრამებში	0,01	0,05	0,05	0,05	0,05	0,02	0,05	0,03	0,01	0,01
პროდუქტის №	31	32	33	34	35	36	37	38	39	40

ფასი	0,5	1	1,5	1,5	1,5	15	10	2	0,5	30
ნორმა კილოგრამებში	0,04	0,02	0,02	0,2	0,05	0,01	0,01	0,02	0,01	0,01

გამოვიყენოთ (2.1) ფორმულა, სადაც ჩვენს შემთხვევაში $a_0 = 0$, x_i ცვლადი არის i -ური პროდუქტის ერთი კილოგრამის ფასი, a_i , $i=1,\dots,40$, კოეფიციენტი i -ური პროდუქტის დღიური მოხმარების ნორმაა კილოგრამებში, ხოლო y მინიმალური სასურსათო კალათის ფასია (ლარებში) ერთ დღეში.

ცხრილი 2.3-ის გამოყენებით გვექნება:

$$\begin{aligned}
 y &= \sum_{i=1}^{40} a_i x_i = a_1 x_1 + \cdots + a_{40} x_{40} = \\
 &= 0,25 \cdot 1,5 + 0,07 \cdot 1,5 + 0,04 \cdot 2 + 0,02 \cdot 6 + 0,01 \cdot 2 + 0,01 \cdot 1,8 + 0,015 \cdot 2 + \\
 &\quad + 0,04 \cdot 14 + 0,01 \cdot 12 + 0,02 \cdot 6 + 0,04 \cdot 12 + 0,01 \cdot 8 + 0,15 \cdot 3 + 0,025 \cdot 2 + 0,015 \cdot 6 + \\
 &\quad + 0,02 \cdot 8 + 0,005 \cdot 6 + 0,5 \cdot 0,4 + 0,012 \cdot 25 + 0,007 \cdot 10 + 0,01 \cdot 3,5 + 0,05 \cdot 2 + 0,05 \cdot 2 + \\
 &\quad + 0,05 \cdot 2 + 0,05 \cdot 0,5 + 0,015 \cdot 5 + 0,05 \cdot 2 + 0,025 \cdot 1 + 0,007 \cdot 3 + 0,01 \cdot 1 + 0,04 \cdot 0,5 + 0,015 \cdot 1 + \\
 &\quad + 0,015 \cdot 1,5 + 0,15 \cdot 1,5 + 0,05 \cdot 1,5 + 0,005 \cdot 15 + 0,005 \cdot 10 + 0,02 \cdot 2 + 0,08 \cdot 0,5 + 0,002 \cdot 30 = \\
 &= 0,38 + 0,11 + 0,08 + 0,12 + 0,02 + 0,02 + 0,03 + 0,56 + 0,12 + 0,12 + 0,5 + 0,08 + 0,45 + 0,05 + \\
 &\quad + 0,09 + 0,16 + 0,03 + 0,2 + 0,3 + 0,07 + 0,04 + 0,1 + 0,1 + 0,1 + 0,03 + 0,08 + 0,1 + 0,03 + 0,02 + \\
 &\quad + 0,01 + 0,2 + 0,02 + 0,02 + 0,23 + 0,08 + 0,08 + 0,05 + 0,04 + 0,1 + 0,06.
 \end{aligned}$$

საბოლოოდ ვღებულობთ $y = 4,5$ ლარი. თუ ამ ფასს გავამრავლებთ 31-ზე, მივიღებთ $4,8 \text{ ლარი} \cdot 31 = 148,8 \text{ ლარი}$.

ამრიგად, ჩვენი გათვლებით დადგენილი მინიმალური სასურსათო კალათის ფასი თვეში პროდუქტებზე 2013 წლის ოქტომბერ-ნოემბერ-დეკემბერში არსებული ფასების გათვალისწინებით დაახლოებით 150 ლარის ტოლია.

ცხადია, სხვა განსჯისა და გამოკვლევის ცალკე საგანია მინიმალური სასურსათო კალათის შემადგენლობაში ჩამოთვლილი პროდუქტების სახეობა და რაოდენობა, მათი მოხმარების დღიური ნორმები და შესაბამისი ენერგეტიკული დირექტიულებების შეფასების საკითხები.

1.7. მარკეტინგული კვლევა საქართველოში მინიმალური სასურსათო კალათის ნორმებისა და დირექტიულების შეფასებაში

2.2.1. ნორმების მარკეტინგული კვლევა და შეფასება მომხმარებელთა ქცევის გათვალისწინებით

